# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 მარტი 2002 №45 (1567) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხორვატი, ქართველი და იტალიელი ლიფტთან ჩხუბობენ



ბადრი კოპალიანის ფოტო

ხვალ „ეროვნულზე“ „დინამო“ და „კოლხეთი“ არც თავს დაზოგავენ და არც ერთმანეთს

ცხოვრება გრძელდება და მასთან საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატიც, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ქუთაისში მომხდარმა ინციდენტმა მოზრდილი ლაფი დაასხა. 21-ე ტურის დაწყებამდე თითქოს გაირკვა ზოგი დამნაშავე, „ტორპედომ“ ვახტანგ ხვადაგიანს და „დინამომ“ გიორგი ანჩაბაძეს სასჯელები დაუწესეს: დისკვალიფიცირებულ თბილისელს ერთი თვის ხელფასი დაუქვითეს, ქუთაისელი კი ერთი თამაშით მოცდება და 150 ლარსაც შეელევა, ხოლო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო და სამსაჯო კომიტეტებმა რევერანსით დააღწიეს თავი შექმნილ ვითარებას: გამოაქვეყნეს მიმართვა, სადაც მსაჯებს, ფეხბურთელებს და კლუბების ოფიციოზს ჭკუით ყოფნისკენ მოუწოდეს, თორემ...

კვირას თბილისში ფოთის „კოლხეთი“ ჩამოდის, „დინამოს“ ერთ-ერთი თავსატკივარი ეროვნული ჩემპიონატის მოკლე ისტორიაში. კოლხები ერთი-ორი ტრავმირებულის გარდა საბრძოლო რაზმით მოდიან, თბილისელებს კი ფალავანი ანჩაბაძე აკლიათ, თან თურმე ივო შუშაკს „კოლხეთის“ თამაში არასოდეს უნახავს. მოკლედ, ინტრიგა არსებობს, ხოლო სხვა მხრივ, შესაძლოა, ჩემპიონატის პირველმა ნახევარმა კვირასვე ამოწუროს თავისი ფუნქცია. თუ „მერანმა“ და „დინამომ“ მოიგეს, „ვიტ ჯორჯიას“ მცირე შანსიც გაუქრება და ზე და ქვექვსეულები ურყევად დადგინდება, მერე კი პირველები ჩემპიონობისთვის, მეორენი კი გადასარჩენად, ანუ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ითამაშებენ.

იხილეთ მესამე გვერდი

## ბარსელონა VS რეალი

## ჯოჯოხეთს და სამოთხეს ერთი კარი აქვთ კამპ ნოუ

### კარერასი-რივალდო და დომინგო-ზიდანი: ვისთვის რექვიემი, ვისთვის ოსანა

დღეს ბარსელონაში სუპერკლასიკოა და ეს ერთი მატჩი ჩრდილავს მთელ ევროპაში გასამართ დანარჩენ სამ ასეულზე მეტ თამაშს.

დაწვრილებით მოყოლა იმისა, თუ რას ნიშნავს „ბარსელონა“ — „რეალი“, დროის ფუჭი ხარჯვა უნდა იყოს, ამიტომ ვთქვათ მხოლოდ ის, რაც ახალია:

ბარსელონაში არ ჩადის ლუიშ ფიგუ, რომელმაც ტრავმა ვერ მოიშუშა და, შესაბამისად, პესეტეროსა და 56 ვერცხლად გაყიდული იუდას ძახილის საბაბი „კამპ ნოუზე“ მისულთ არ ექნებათ.

სამაგიეროდ, „კამპ ნოუზე“ „ბარსას“ წინააღმდეგ პირველად ითამაშებს ზინედინ ზიდანი და მეტოქის მოედანზე სუპერკლასიკოს ავანჩავანს პირველად გამოსცდის საკუთარ თავზე. დღევანდელი თამაში ეგებ საბედისწეროც გამოდგეს კარლოს რექსაჩისთვის, რომელთანაც ისედაც მწყრალად არიან კატალონიელები და ვერმოგება შესაძლოა ბოლო წვეთად იქცეს მოთმინების ფიალაში.

მაგრამ განა ვისენტე დელ ბოსკეს ულხინს? მადრიდში ხომ ასეა — მოიგე ყველა თასი, მაგრამ უპირველესად დაამარცხე „ბარსელონა“! ეს მოთხოვნა გადასინჯვას არ ექვემდებარება.

„ბარსელონა“ „რეალს“ ექვსი ქულით ჩამორჩება, ლიდერ „ვალენსიას“ კი შვიდით და რაკი სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება, ვინძლო, ამ მატჩმა გაარკვიოს, აგრძელებს თუ არა კატალონიის სიამაყე ტიტულისთვის ბრძოლას.

და სადაც სუპერკლასიკოა, იქ სუპერკლასიკოსი მომღერლებიც ვახსენოთ.

ხოსე კარერასი:

„ბარსა“ უეჭველად მოიგებს“.

პლასიდო დომინგო:

„რა კითხვაა? მე ხომ „რეალს“ ვქომაგობ“.

იხილეთ მეათე გვერდი



რეალელი ზიდანი რივალდოს და „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ პირველად შეხვდება

# ზუმა აფრიკულად მოდის

**სიტყვის კაცი** ყოფილა 46 წლის იომო სონო. სწორედ მისი და ჟურნალისტების ძალისხმევით დაითხოვეს კარლუშ კეიროში სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელობიდან — ძირითადად ლეგიონერებს ენდობოდი და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს ყურადღებას რომ არ აქცევდ, იმიტომ ჩავფლავდით ზამთარში გამართულ აფრიკის თასზეო.

იომო სონო ახლა „ბაფანა ბაფანას" მწვრთნელია, დროებითი თუ კარგა ხნის მანძილზე, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტი კი ისაა, სწორედ სონო ჩამოიყვანს აფრიკელ ნარჩევ ბიჭებს 27 მარტს ვაკეში ქართველებთან სათამაშოდ.

34 ფეხბურთელი შეარჩია „ბაფანა ბაფანას" ახალმა თავკაცმა. მათი უმრავლესობასაც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს.

საქართველოსთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე აფრიკელები იტალიაში საუდის არაბეთის ნაკრებს გაეჯიბრებიან შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით, ჩვენ კი ლეგიონერებით გაძლიერებულნი გვეწვევიან. იომო სონომ სათბილისოდ ამ ლეგიონერებს უხმო:

***მეკარე:*** *ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია);*

***მცველები:*** *აარონ მოკოენა (ბეერსხოტი, ბელგია), ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), ჯეკობ ლეკხეტო, ბერნარდ მხგუნი (ორივე ლოკომოტივი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *კვინტონ ფორჩუნი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტებოხო მოკოენა (სენტ გალენი, შვეიცარია), სიბონგა ნომვეტე (უდინეზე, იტალია), დელრონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია);*

***თავდამსხმელები:*** *ბენი მაკარტი (პორტუ, პორტუგალია), სიბუსისო ზუმა (კოპენჰაგენი, დანია).*

აქვე ვთქვათ, რომ ფიფამ უკვე დაამტკიცა საქართველო — სამხრეთ აფრიკის მატჩზე მომსახურე მატჩთა ბრიგადა — არბიტრი ანდრეი შანდორი იქნება, თანამსაჯები კი სერგეი სობატიუკი და ანდრეი ზვერევი. სამივე უკრაინელია. სათადარიგო არბიტრი ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია გახლავთ. მატჩის ინსპექტორი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელი ანატოლი მილჩენკო.

**გიორგი გუგაძიძე**

# მომავალი კალაძე
## ღონიერი კახელის ვარიაციები

*შარშან გაზაფხულზე, მეთორმეტე ეროვნული ექვსეულებად ჯერ არ იყო დაყოფილი და თბილისის „დინამო" დიღმის ბაზაზე სამტრედიის „იბერიას" მასპინძლობდა. დინამოელთაგან წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი ზაზა ზირაქიშვილი ბობოქრობდა და განწირულ აუტსაიდერთან გოლის გატანაც ძალიან უნდოდა. მას კი „იბერიას" 18 წლის ალეკო ამისულაშვილი მეურვეობდა. ახალგაზრდა მცველმა ფეხი არ გაანძრევინა ზირაქიშვილს, არც ერთი ორთაბრძოლა არ დაუთმო და ფეხმალმა ზირაქიშვილმა ვერც სისწრაფის ხარჯზე დაჯაბნა მცველი. დინამოელი ამისულაშვილის ფსიქოლოგიურად დათრგუნვასაც შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზაზამ მაინც გაიტანა გოლი, მაგრამ ალეკოს ხელის შეშლა არ შეეძლო — ზირაქიშვილმა 11-მეტრიანით იხეირა. „დინამოს" მაშინდელი პრეზიდენტი და მწვრთნელი კი სერიოზულად ჩაფიქრდნენ — რევაზ არველაძემ და გოჩა ტყებუჩავამ მყისვე თვალი დაადგეს ნიჭიერ მცველს და „დინამოში" გადმოსვლა შესთავაზეს. ალეკოც დათანხმდა, „დინამოში" დაიწყო ვარჯიში, ხოლო თამაშს კვლავ „იბერიაში" აგრძელებდა. სეზონის დამთავრებისთანავე კი კონტრაქტს მოაწერა ხელი და დინამოელი გახდა.*

*ახლა „დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის ფეხბურთელს ორი ბუნდესლიგური გუნდი თავის საკბილოდ მიიჩნევს. თელავში დაბადებულ-გაზრდილი, ათლეტური, ტაქტიკურად კარგად მოაზროვნე ალეკო ამისულაშვილი საინტერვიუდ გუშინ მოვიხელთეთ, ხოლო მეტაფორა — „მომავალი კალაძე" დინამოელთა ყოფილ დამრიგებელ გივი ნოდიას ეკუთვნის.*



ალეკო ამისულაშვილმა (მუქ ფორმაში) შესაძლოა, მალე ბუნდესლიგაში ითამაშოს

— ფეხბურთის თამაში თელავში დავიწყე და იქ ზურაბ მაისურაძემ მნახა, რომელიც მაშინ „ტორპედოს" ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. ასე მოვხდი ქუთაისში. „ტორპედოს" მაშინ დავით ყიფიანი წვრთნიდა.

**— მეთორმეტე ეროვნულისთვის კი სამტრედიის „იბერიაში" აღმოჩნდი...**

— „ტორპედოში" თავიდან კარგად ამეწყო საქმეები. ხან ძირითადში ვთამაშობდი, ხან შეცვლებზე შევდიოდი, მაგრამ მერე და მერე ძირითადში კი არა, 18-კაციან სამატჩო განაცხადშიც ვერ ვხდებოდი. ჰოდა, „ტორპედომაც" სამტრედიის „იბერიაში" გამანათხოვრა. ეს ჩემი სურვილიც იყო — უთამაშებლობას „იბერია" ვარჩიე და ვთვლი, რომ ნებისმიერი ფეხბურთელი ჩემ ადგილას ასე მოიქცეოდა.

**— მეთორმეტე ეროვნულის საგაზაფხულო ეტაპის მატჩი „დინამოსთან" კი შენი კარიერისთვის, ალბათ, გარდამტეხი იყო.**

— მართლაც კარგი თამაში გამოვიდა და მეც, ალბათ, კარგად გავისარჯე. განსაკუთრებულად არ ვემზადებოდი იმ მატჩისთვის, მაგრამ „დინამოსთან" შეხვედრა ხომ სულ სხვაა, თანაც ზირაქიშვილის წინააღმდეგ ვთამაშობდი. ყველაფერმა ამან თავისებური განწყობა შემიქმნა და თამაშიც წამივიდა.

**— მას შემდეგ „დინამოში" დაიწყე ვარჯიში და მოგვიანებით რევაზ არველაძემ გერმანიაში წაგიყვანა...**

— გერმანიაში მაშინ ჩავედით, როცა ბუნდესლიგის წინა გათამაშების ბოლო ტურიღა იყო ჩასატარებელი. ჯერ „ჰამბურგში" ვივარჯიშე, მერე „ჰერტაში".

**— როგორც შენმა აგენტმა რევაზ არველაძემ გვითხრა, ახლა ეს გუნდები უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ შენით. როგორ ფიქრობ, მზად ხარ ბუნდესლიგაში სათამაშოდ?**

— მგონი, კი.

**— რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს?**

— ჩემი შესაძლებლობები.

**— კი მაგრამ, გამოცდილება?**

— საქართველოს ჩემპიონატში ორი წელი უკვე ნათამაშები მაქვს და წინ კიდევ მელის მატჩები.

**— შენი ტიპის ფეხბურთელისთვის ბუნდესლიგა ზედგამოჭრილია?**

— მე იტალიაში თამაში მხიბლავს, მაგრამ თუ ჩვენი ჩემპიონატიდან ბუნდესლიგაში ამოვყოფ თავს, ეს ძალიან დიდი პროგრესი იქნება.

**— „დინამოდან" წასვლის თაობაზე ესაუბრე კლუბის ხელმძღვანელობას?**

— ჯერ არა. ახლა მხოლოდ მომავალ მატჩებზე ვფიქრობ. ისე კი, კონტრაქტი „დინამოსთან" გაისად ზაფხულში მეწურება.

**— ამ სეზონში „დინამოს" მაისურა მოირგე და ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშე ლიტვის წინააღმდეგ. თუმც სანაკრებო დებიუტს წარმატებულს ვერ დავარქმევთ, ლიტვასთან ხომ მსაჯმა მოედნიდან გაგაძევა.**

— ლიტვასთან კი მართლა უსიამოვნო რამ შემემთხვა, შეხვედრას მე-16 წუთზევე გამოვეთიშე.

**— ფიზიკურად ძლიერი ხარ, ათლეტიზმში სპეციალურად ვარჯიშობდი? გიყვარს შტანგა და ტრენაჟორები?**

— არა, სანამ „ტორპედოში" გადავიდოდი, სიმძიმეებითა და ტრენაჟორებით არასდროს ვვარჯიშობდი. ქუთაისში შტანგა მოვსინჯე და თიაქარი დამემართა, რის გამოც ოპერაცია გავიკეთე. მას შემდეგ შტანგას არ ვეკარები, ტრენაჟორებზე კი უარს არ ვამბობ.

**— ესე იგი, ბავშვობიდანვე ღონიერი იყავი. მერედა რატომ არ შეხვედი ვთქვათ, ჭიდაობაზე ან კრივზე?**

— ბავშვობიდანვე მართლაც ჯანიანი ვიყავი, მაგრამ ყველაფერს ფეხბურთი ვამჯობინე, უფეხბურთოდ თავი ვერ წარმომედგინა. ჩემს გადაწყვეტილებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მამაჩემი და ბიძაჩემიც თავის დროზე ფეხბურთს თამაშობდნენ.

**— როცა მეცამეტე ეროვნულის პირველივე ტურში ბოლნისის „სიონი" დაამარცხეთ, „დინამოს" მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ პრესკონფერენციაზე თქვა, ალეკო ამისულაშვილი მომავალი კახა კალაძეაო. რას იტყვი ასეთ შედარებაზე?**

— კალაძემდე ბევრი მიკლია, მაგრამ შრომას ბევრი რამ შეუძლია. ასე რომ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ისე კი სხვებსაც უთქვამთ, კალაძის ტიპის ფეხბურთელი ხარო, მაგრამ თუ არ ვიშრომე, არაფერი გამოვა.

**— ალბათ, ვარჯიშის შემდეგ ინდივიდუალურადაც იტვირთები.**

— რა თქმა უნდა, მარჯვენა ფეხით და თავით თამაშის დახვეწაზე ვმუშაობ, აგრეთვე სისწრაფის მომატებაზე.

**— „დინამოსთვის" უკვე სამი გოლი გაიტანე ამ ჩემპიონატში, თუმც ივო შუშაკის მოსვლის შემდეგ მხოლოდ დაცვაში გიწევს თამაში, საყრდენ ნახევარმცველად აღარ გვევლინები.**

— მწვრთნელმა ასე ჩათვალა და მეც ჯერ მხოლოდ დაცვაში ვთამაშობ — გუნდის ინტერესები ასე მოითხოვს, მაგრამ ჩემთვის სულერთია, რადგან გოლის გატანა მცველსაც შეუძლია.

**— „დინამომ" პირველი ეტაპი ერთობ უნიათოდ ჩაატარა. რით ახსნი ამას?**

— გუნდში პრობლემები იყო, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ახლა ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი, ისედაც ხომ ყველამ ყველაფერი ვიცით. მეორე ეტაპიდან საქმე უკეთესობისკენ მიდის, ახალი ფეხბურთელებიც დავიმატეთ და გუნდის პროგრესიც შესამჩნევია.

**— ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი ფორვარდის წინააღმდეგ ჭირს თამაში?**

— რა ვიცი, ასეთი, ყველასგან განსაკუთრებული, ჩემი აზრით არავინაა.

**— „ტორპედო" — „დინამოს" ამასწინდელმა მატჩმა დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაური გამოიწვია. როგორ ფიქრობ, ამ ორი გუნდიდან რომელია უფრო ძლიერი?**

— პირველ ეტაპზე არა, მაგრამ ახლა „დინამოს" უფრო მეტი პოტენციალი აქვს — ჩვენ ახალგაზრდული გუნდი ვართ, თანაც „დინამო" მაინც „დინამოა" და დღეს თუ ხვალ თავის პოზიციებს აუცილებლად დაიბრუნებს. „ტორპედოსთან" ამასწინდელ მატჩზე კი იმას ვიტყვი, რომ დაძაბული ვითარების გარდა ქარმაც არ მოგვცა საშუალება, ნორმალური ფეხბურთი გვეთამაშა.

**— პოტენციური სიძლიერე ერთია, მაგრამ „ტორპედო" არცთუ მცირე უპირატესობით უსწრებს „დინამოს"...**

— პლეი ოფში ხომ ქულები განახევრდება და ჩვენც ყველაფერს გავიღებთ — დროა, „დინამომ" ჩემპიონობა და თასიც დაიბრუნოს.

**— ახალგაზრდა ფეხბურთელი ხარ და, ალბათ, მისაბაძი თუ კერპისმაგვარიც გეყოლება ვინმე.**

— ძალიან მომწონდა რედონდო. მცველებიდან კი სოლ კემბელს გამოვარჩევდი.

**— დღის განრიგი როგორი აქვს ალეკო ამისულაშვილს?**

— დილის ცხრა საათზე ვდგები და არასდროს ვსაუზმობ. ვარჯიშის შემდეგ ანუ თავისუფალ დროს მეგობრებთან ვატარებ, მიყვარს საბილიარდოში სიარული, სულ შინ ჯდომას ვერ ვეგუები.

**— კახურ ღვინოზე როგორა ხარ?**

— ერთ ჭიქაზე უარს არ ვამბობ. უპირატესობას შავ კახურ ღვინოს ვანიჭებ — ერთი ჭიქა ხომ ჯანში მიდის.

**დავით თაგართქილაძე**

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVII ტური

ბოხუმი 3:1 ფრაიბურგი
ჰანოვერი 4:0 როიტლინგენი
ალემანია 2:1 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXV ტური

ლევერკუზენი (მ) 1:1 ოსნაბრიუკი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXV ტური

შტუტგარტი (მ) 2:2 ბაიერნი (მ)
მანჰაიმი 1:1 ჰოფენჰაიმი
ოფენბახი 2:0 რეგენსბურგი
ტრირი 2:0 ზიგენი

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXVIII ტური

როდა 1:1 ბრედა

II დივიზიონი. XXVII ტური

დენ ჰააგი 1:1 ზვოლე
კამბური 3:0 ეინდჰოვენი
ჰაარლემი 3:0 ექსელსიორი
ვენლო 1:2 ჰერაკლესი
დორდრეხტი 2:2 ტელსტარი
როზენდალი 4:0 ოსი

### თურქეთი

XXVII ტური

ბეშიქთაში 2:2 დენიზლისპორი

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
XL ტური

ნორვიჩი 0:1 ბირმინგემი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXII ტური

სტრასბური 0:0 აიაჩო

### იტალია

სერია B. XXVIII ტური

ჯენოა 2:0 ბარი

### შვეიცარია

II ეტაპი. A ჯგუფი
V ტური

სერვეტი 1:5 გრასჰოპერი

### ჩეხეთი

XXII ტური

სლავია 2:2 ბოჰემიანსი

### პოლონეთი

პლეი ოფი
V ტური

ლეგია 1:0 ვისლა



გიო ახვლედიანის

## სვეტი
# ჩხუბები

ამ კვირას დიდი ამბავი იყო ქუთაისსა და რომში, სადაც ფეხბურთის ნიადაგზე ჩხუბები მოხდა. ქუთაისში თბილისელ გულშემატკივრებს და ცოტათი ფეხბურთელებსაც მოუხდათ ინციდენტი, ხოლო რომში „გალათასარაის" მოთამაშეებს და იქაურ პოლიციელებს.

რომში, იქაურმა „რომამ" 1:1 ითამაშა თურქებთან და ამას რომაელი ფეხბურთელებიც გაულიზიანებია, პოლიციელებიც და ყველა, ვისაც მიაჩნია, რომ თურქებს შენი სახლიდან ქულა არ უნდა გაატანო.

ჰოი, საკვირველება და, ქუთაისშიაც 1:1 დასრულდა თამაში და იქაც ორივე მხარე ნაწყენი დარჩა. ქვების სროლაც კი ამტყდარა, რაც ახალი ამბავი სულაც არ არის ჩვენს ფეხბურთში, იმიტომ, რომ სტადიონის ტრიბუნებზე ხვინჭა უხვად მოიძებნება ხოლმე.

ყოფილა ფეხბურთელებზე გაწევაც, რითაც დიდი ქართული მატჩი რომაულ ჭიდილს დაემსგავსა. რომაულმა მუშტი-კრივმა აღაშფოთა ბევრი ადამიანი, მათ შორის უმაღლესი თურქი პოლიტიკოსები. უეფამ ნიონში დისციპლინარულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვა გადაწყვიტა, ჩვენმა ფედერაციამაც განიხილა ქუთაისური ისტორია.

თვალში საცემი იყო ერთი განსხვავება: ჩვენში გამოითქვა აზრი, რომ მუშტი-კრივი ფეხბურთის დონისა და, შესაბამისად, მაყურებელთა ინტერესის ზრდას გულისხმობს.

ეს საინტერესოა, იმიტომ, რომ მთელს ევროპაში არავის უთქვამს, რომში ჩხუბი იმიტომ ატყდა, რომ ხალხს ფეხბურთი აინტერესებსო. ცხადია, თუ თამაში არ გაინტერესებს და შენი გუნდი არ გიყვარს, სტადიონზეც არ მიხვალ, მაგრამ პოლიცია რომ ძიძგილაობას ატეხავს, ეს ფეხბურთს რაში მოეხმარება? ინგლისელებმა რომ მთელი ბელგია დალეწეს, მათ ფეხბურთს კი არ წაადგა, უარესი გაუკეთა — 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ცხვირწინ ააცალეს ინგლისელებს.

ის კი მართალია, რომ „რომას" სათამაშო დონემ და კლასმა გვარიანად აიწია ბოლო წლებში, მაგრამ ეს იმის ბრალი არ უნდა იყოს, რომ რომაელთა გულშემატკივარმა, ლამაზმანმა საბრინამ სახალხოდ გაშიშვლება აღუთქვა საყვარელ გუნდს. აქ მგონი ფაბიო კაპელომ მეტი გააკეთა.

ეჰ... ასე მგონია, რომ ამ საქმეს ახსნაც არ სჭირდება.

უბრალოდ, ჩვენთან, სანამ რამე არ გაირკვევა, ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა წავიყვანოთ.

მართლაც რომ...

როგორც გაირკვა, ქუთაისში დიდი არც არაფერი მომხდარა.

ღმერთმა ქნას. შინაურობაში საჩხუბარი რაა? აი, რომში კი...

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
21 ტური
ანონსი

# შუშაკს კოლხეთი თამაშამდე გააცნეს

თბილისი. ეროვნული. 17 მარტი. 15.00 საათი

## დინამო — კოლხეთი

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო
**დისკვალიფიცირებულნი:** ანჩაბაძე, მანწკავა (დინამო)

*ივო შუშაკი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:*
ჩვენი სურვილია, კვირასვე გადავჭრათ ზეექვსეულში მოხვედრის საკითხი, ამიტომ „დინამო“ აგრესიულ, შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ეს თავისთავად რთული ამოცანა იქნება, რადგანაც ანჩაბაძე და მანწკავა დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაგვეხმარებიან.

ვწუხვარ, მეტოქე უშუალოდ საქმეში რომ არ მინახავს, მაგრამ ჩემმა თანაშემწეებმა ამომწურავი ინფორმაციები მომაწოდეს და ვფიქრობ, „კოლხეთის“ დამარცხებას მოვახერხებთ.

***ქუთაისში შეკრებილ ქომაგებს გიორგი ანჩაბაძემ სიტყვა არ შეარჩინა. მათ გინებას დინამოელმა გინებით და უხამსი ჟესტით უპასუხა. „დინამოც“ ადგა და ზედმეტი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს ერთი თვის ჯამაგირიც დაუქვითა. ამის შემდეგ გიორგი ანჩაბაძე, ალბათ, მოერიდება მაყურებლებთან ურთიერთობების გარკვევას. არადა, მსგავსი თუ გამეორდა, კლუბი უფრო მკაცრად უპირებს დასჯას.***

*სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:*
მთავარი ამოცანა შევასრულეთ, ექვსეულში მოვხვდით და ფსიქოლოგიური სტრესიც მოგვეხსნა. „დინამოს“ ფაქტორი არ გვაშინებს, ცხადია, მათ უკეთესი პირობები აქვთ, შემადგენლობაც სოლიდური, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. თუ მოვიგეთ, რაც ძალიან გაგვიჭირდება, ბუნებრივია, გავიხარებთ, მაგრამ ფრეზეც ყაბულს ვართ.

ტრავმირებული მარტო კრასოვსკი გვყავს, გოროზია გუნდთან ერთად ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, „დინამოსთან“ ითამაშოს კიდეც. ვარჯიში განაახლა ბადრი ახვლედიანმაც, თუმც მას ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდება.

„დინამოს“ რომ დისკვალიფიცირებული ანჩაბაძე არ ეყოლება, ეს ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ანჩაბაძე თბილისელთათვის დიდი ძალაა, „დინამოს“ თამაშიც მასზეა აწყობილი. რა ტაქტიკით ითამაშებს „კოლხეთი“, ახლა არ ვიტყვი, თუმცა „დინამოს“ სიურპრიზს შევთავაზებთ.



გიორგი ანჩაბაძეს (მარჯვნივ) „დინამომ“ ერთი თვის ხელფასი დაუქვითა

*ზეექვსეულის ოთხი გუნდი უკვე ცნობილია — „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „ბათუმი“ და „კოლხეთი“. „დინამოს“ და „მერანს“ სამშვიდობომდე ქულა აშორებთ და ხვალვე ეცდებიან მიზნის მიღწევას.*

*საუკეთესოებში მოხვედრის თეორიული შანსი „ვიტ ჯორჯიასაც“ შერჩენია.*

*ლიგაში დასარჩენად მებრძოლთა შორის კი ყველაფერი გარკვეულია. ხვალიდან ისინი მხოლოდ იმის ცდაში იქნებიან, როგორმე კონკურენტს ქულები დასცინცლონ.*

*...ალბათ, ხვალ ექვსეულები დალაგდება.*

თბილისი. სინათლე. 17 მარტი. 15.00 საათი

## მერანი — ტორპედო

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე
**დისკვალიფიცირებულნი:** გუჯაბიძე (მერანი), ხვადაგიანი (ტორპედო)

*ოთარ გაბელია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:*
გუნდში ჩინებული განწყობაა. სერიოზულად ვემზადებით „ტორპედოსთან“ სათამაშოდ. ტრავმირებულიც თითქმის არავინაა. მხოლოდ დევიძეს აწუხებს ფეხი. ზეექვსეულში მოსახვედრად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. ორი რთული მატჩი დაგვრჩა და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ძალების მოკრებას. სხვა გზა არ გვაქვს. „ტორპედოსთან“ აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

***...„თამაშის ბოლოს ტორპედოელი ვახტანგ ხვადაგიანი თანმსაჯ გოჩა ცირდავას მიეჭრა და ხელი ჰკრა“. „ტორპედო“ — „დინამოს“ მთავარმა მსაჯმა კახა მესხმა სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე არ დაინდო ქუთაისელი მცველი. დისციპლინარებმა ხვადაგიანის „განკითხვა“ კლუბს დაავალეს და ქუთაისელებმაც განაჩენი გამოიტანეს — მცველი ვახტანგ ხვადაგიანი ერთი თამაშით დაისვენებს და 100 ლარსაც შეელევაო, ამტკიცებენ რიონისპირელები ფედერაციაში გაგზავნილ წერილში.***

***შეგახსენებთ, რომ ხვადაგიანი „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩშიც ისვენებდა, ხვალ კი ავჭალურ თამაშსაც გამოტოვებს.***

წყალტუბო. 26 მაისი. 17 მარტი. 15.00 საათი

## სამგურალი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** ფრანგიშვილი (სამგურალი), კ. გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი)

*კახა ცხადაძე, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი:*
— წყალტუბოში, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებს, რაც ძალიან გაგვიჭირდება. „სამგურალი“ დაცვით ფეხბურთს თამაშობს, თანაც წყალტუბოში, როგორც მითხრეს, მოედანი არ ვარგა. ეს კი მეტოქისთვის, ჩამშლელისთვის იქნება სასარგებლო.

დაგვაკლდება დისკვალიფიცირებული კახა გოგიჩაიშვილი, რომელიც „ლოკომოტივისთვის“ დიდი ძალაა და მცველი ნუკრი მანჩხავა, მან ვარჯიშზე თავი გაიტეხა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონობას ვუმიზნებთ და წყალტუბოში სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ.

ზესტაფონი. ცენტრალური. 17 მარტი. 15.00 საათი

## მეტალურგი — სიონი

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. ბეტრიაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** გაბრიჭიძე (მეტალურგი)

*თემურ მახარაძე, „სიონის“ მთავარი მწვრთნელი:*
ძალიან მძიმე თამაში გველის. „სიონიც“ და „მეტალურგიც“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, ზესტაფონში „ექვსქულიანი“ თამაში იქნება. „ბათუმთან“ მოგებამ, ცხადია, ბიჭებზე დადებითად იმოქმედა. ასე რომ, ყველაფერს გავაკეთებთ მოსაგებად. თუმცა „მეტალურგი“ შინ საკმაოდ ძნელი დასამარცხებელია. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს.

ბათუმი. დინამო. 17 მარტი. 15.00 საათი

## ბათუმი — გორდა

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** კ. ალბადაშვილი (გორდა)

*ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:*
ჩვეულებრივად ვემზადებით. რუსთავის „გორდასთან“ შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „ლოკომოტივთან“ თასზე და „სიონთან“ ჩემპიონატში წაგებული მატჩების შემდეგ ცოტა განაწყენებულებიც ვართ. იმედი მაქვს, ბიჭები საქმეს სერიოზულად მოეკიდებიან. ბოლნისში წაგების შემდეგ გუნდის კრება მოვიწვიე და ფეხბურთელებს კატეგორიულად მოვთხოვე თამაშის გაუმჯობესება. ამიტომაც „გორდასთან“ თამაში ჩვენთვის გარდამტეხი უნდა იყოს. თუ გავიმარჯვებთ, სამეულში მოსახვედრად სერიოზულ ნაბიჯს გადავდგამთ. ტრავმირებული არავინაა, ყველა ჯანზეა. ამ მხრივ პრობლემები უკვე აღარ გვაწუხებს.

მცხეთა. არმაზი. 17 მარტი. 15.00 საათი

## ვიტ ჯორჯია — გურია

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. სილაგავა (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. კახიანი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** ჯ. მუჯირი (ვიტ ჯორჯია)

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 20 | 15 | 3 | 2 | 48:12 | 36 | 48 | 10 | 8 | 2 | 0 | 27:6 | 21 | 26 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:6 | 15 | 22 |
| 2 ლოკომოტივი | 20 | 14 | 3 | 3 | 35:10 | 25 | 45 | 10 | 8 | 1 | 1 | 19:5 | 14 | 25 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:5 | 11 | 20 |
| 3 ბათუმი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:16 | 12 | 34 | 10 | 9 | 0 | 1 | 21:5 | 16 | 27 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:11 | -4 | 7 |
| 4 კოლხეთი | 20 | 10 | 4 | 6 | 31:26 | 5 | 34 | 10 | 8 | 1 | 1 | 24:11 | 13 | 25 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 9 |
| 5 მერანი | 20 | 10 | 2 | 8 | 32:26 | 6 | 32 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:7 | 13 | 22 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | -7 | 10 |
| 6 დინამო | 20 | 9 | 5 | 6 | 33:19 | 14 | 32 | 10 | 4 | 4 | 2 | 21:11 | 10 | 16 | 10 | 5 | 1 | 4 | 12:8 | 4 | 16 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 6 | 7 | 27:29 | -2 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 7:10 | -3 | 14 | 10 | 4 | 1 | 5 | 20:19 | 1 | 13 |
| 8 სიონი | 20 | 7 | 4 | 9 | 17:25 | -8 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 13:11 | 2 | 19 | 10 | 1 | 3 | 6 | 4:14 | -10 | 6 |
| 9 მეტალურგი | 20 | 3 | 7 | 10 | 13:34 | -21 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:14 | -8 | 9 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:20 | -13 | 7 |
| 10 გურია | 20 | 3 | 6 | 11 | 14:37 | -23 | 15 | 10 | 2 | 4 | 4 | 6:14 | -8 | 10 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:23 | -15 | 5 |
| 11 გორდა | 20 | 3 | 4 | 13 | 16:36 | -20 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:16 | -6 | 10 | 10 | 0 | 3 | 7 | 6:20 | -14 | 3 |
| 12 სამგურალი | 20 | 3 | 4 | 13 | 15:39 | -24 | 13 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:26 | -23 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11 - ფიფფიზაძე | კოლხეთი |
| პოროშინი | ტორპედო |
| 10 - დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 9 - ქუთათელაძე | ტორპედო |
| მაჭუტაძე | ბათუმი |
| ბოგოხიძე | დინამო |
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| ბაზუა | მერანი |
| დათვაძე | ლოკომოტივი |

# მიმართვა

***ყველა მსაჯს, ინსპექტორს, გუნდების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებს***

როგორც თქვენთვის ცნობილია, ეროვნული ჩემპიონატი საპასუხისმგებლო ფაზაში შევიდა. ჩვენი სურვილია, რომ მაყურებელმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმა მიმართვა გაითავისონ და არ ჩათვალონ იგი უმნიშვნელო ფაქტად. ეს მიმართვა კატეგორიულია ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან და სრულად შეესაბამება ფიფასა და უეფას მოთხოვნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო და ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტები თქვენს ყურადღებას მიაპყრობენ ზოგიერთ არასასურველ, ნეგატიურ ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი აქვს საფეხბურთო მატჩებისას.

იყო შემთხვევები, როდესაც მოთამაშეები ხმამაღლა, უხეში, უცენზურო გამოთქმებით მიმართავდნენ მოწინააღმდეგეს ან თანაგუნდელს, განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც უცენზურო სიტყვებით მიმართავს მსაჯებს და ინსპექტორს.

ბევრი მწვრთნელი არ იცავს წესრიგს ტექნიკურ ზონაში, იქცევიან არაეთიკურად, უცენზურო სიტყვებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას, როგორც თავისი გუნდის მოთამაშეების, ასევე მსაჯთა ბრიგადის მისამართით.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მკაცრად აფრთხილებს ყველა არბიტრს და ინსპექტორს, რათა მათ არ დატოვონ რეაგირების გარეშე არცერთი ასეთი ფაქტი და ყველაზე მკაცრი ზომებით შეებრძოლონ დისციპლინის დამრღვევებს და გამოიყენონ ყველა სანქცია, რაც გათვალისწინებულია დისციპლინარული კოდექსით და ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტით.

კლუბების ხელმძღვანელებს ვთხოვთ, თავიანთ კლუბებში განიხილონ მოცემული მიმართვა და გააცნონ ყველა მწვრთნელსა და ფეხბურთელს, რათა აღმოფხვრას მსგავსი შემთხვევები. მსაჯები და ინსპექტორები, რომლებიც სათანადო დონეზე არ შეასრულებენ თავის მოვალეობას, მკაცრად დაისჯებიან დისციპლინარული კოდექსის თანახმად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს ყველა მსაჯს და ინსპექტორს, კლუბების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებს, საფეხბურთო მატჩების ყველა მონაწილეს, მკაცრად დაიცვან წესრიგი სტადიონებზე, კიდევ უფრო მომთხოვნი გახდნენ და პასუხისმგებლობა აიმაღლონ, რათა გამოირიცხოს უარყოფითი მომენტები, რომლებიც არ ალამაზებენ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებს.

**ბადრი ბარბაქაძე**
*საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე*
**ანატოლი მილჩენკო**
*სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე*

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს გამოჩენილ ფეხბურთელს, ს.კ. ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს მამის **მიხეილ ძოძუაშვილის** გარდაცვალების გამო

ს.კ. „ვიტ ჯორჯია“ თანაუგრძნობს ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს მამის **მიხეილ ძოძუაშვილის** გარდაცვალების გამო

გორის „დილა“ სამძიმარს უცხადებს ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს მამის **მიხეილ ძოძუაშვილის** გარდაცვალების გამო

# ლომბარდში ფული აღარ არის

## სამშობლოში დაბრუნებულ ზირაქაძეს სამი წლით გაჭირებული ფეხბურთი დახვდა

*ვალერი ზირაქაძეს 16 წლისას ჰქონდა დებიუტი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ხაშურის „ივერიაში“ მან ორი წელი გაატარა, შემდეგ კი მშობლიურ რუსთავის „მეტალურგს“ შეუერთდა. რუსთავში ზირაქაძე 1999 წლამდე თამაშობდა. ამ ხნის მანძილზე გიგლა იმნაძის ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული და ნიჭიერ, პერსპექტიულ ნახევარმცველად ითვლებოდა.*

*სამი წლის წინ ზირაქაძე ბერძენ მენეჯერ ანისტის სემერძიდისის დახმარებით „ქსანტში“ მოეწყო და საბერძნეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა დააჭაშნიკა, მოგვიანებით კი უნგრეთის უმაღლესი ლიგის პირველი ქართველი ლეგიონერი გახდა.*

*ზირაქაძე დღეს რუსთავშია და სეზონის ბოლომდე მშობლიურ გუნდს დაეხმარება.*



ვალერი ზირაქაძე (მარცხნივ), მენეჯერი ანისტის სემერძიდისი და „ლომბარდის“ პრეზიდენტი პეტერ ბირო კონტრაქტის გაფორმებისას

**— 20 წლის ქართველისთვის სამი წლის წინ ერთობ რთული იყო საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში მოწყობა...**

— ჩემმა მენეჯერმა კარგად იმუშავა, არც მე წარმომიჩენია ურიგოდ თავი. თავიდან „ირაკლისში“ ვისინჯებოდი ორი კვირა. მწვრთნელებს მოვწონდი, მაგრამ იქაურთა პირობები მიუღებელი იყო ჩემთვის და მალე „ქსანტის“ წინადადებას დავთანხმდი, გუნდთან სამწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე.

**— საბერძნეთში მოთამაშე ქართველებთან თუ გქონდა ურთიერთობა.**

— ჩემს დროს იქ გოდერძი ნატროშვილი და ომარ თეთრაძე თამაშობდნენ, თეთრაძესთან ვმეგობრობდი, მაგრამ ხშირად ურთიერთობას ვერ ვახერხებდით. ლეგიონერის ბედი არცთუ დალხინებულია საბერძნეთში, ჩვენგან ერთიორად მეტს მოითხოვდნენ და გამუდმებით იმის ფიქრში ვიყავი, ადგილი არ დამეკარგა ძირითადში. ამიტომ თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მრჩებოდა, მთელი ყურადღება ვარჯიშზე მქონდა გადატანილი. სხვათა შორის, ჩვენთან იყო ირანელი ალი მანსურიანიც, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთი სტაბილური იყო თავისი ქვეყნის ნაკრებში, მაგრამ „ქსანტში“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.

**— „ქსანტში“ კონტრაქტის ბოლომდე არ დარჩენილხარ. ამ გუნდიდან რატომ წამოხვედი?**

— ჩემით უკმაყოფილო მართლა არ ყოფილან ბერძნები. სისტემატურად ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში. გოლებიც გამქონდა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ბევრჯერ მოვხვედრილვარ, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ქსანტი“ თურქული ორიენტაციის იყო. ეს ქალაქი თურქეთ-საბერძნეთის საზღვართან მდებარეობს და მოსახლეობის უმრავლესობა თურქები არიან. გუნდშიც შესაბამისი სიტუაცია იყო. 7 თურქი ჰყავდათ, ამიტომ ლეგიონერთა ლიმიტზე რომ მიდგა საქმე, უყოყმანოდ გამწირეს. პრეზიდენტი ერთი-ერთზე მელაპარაკა და მითხრა, კარგ გუნდში გაგანათხოვრებ, უკმაყოფილო არ დარჩებიო და საბერძნეთში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ უნგრეთში გავემგზავრე.

**— ეს კარგი გუნდი ტატაბანიის „ლომბარდი“ აღმოჩნდა.**

— „ლომბარდი“ ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ უნგრეთის ჩემპიონატში გარკვეულ ამინდს ქმნიდა. კლუბმა სიხარულით მიმიღო, ხელსაყრელი კონტრაქტიც გამიფორმა და მწვრთნელები ძირითად შემადგენლობაში თამაშსაც დამპირდნენ. „ლომბარდი“ ახალი გადმოსული იყო უმაღლეს ლიგაში და პირველივე სეზონის პირველი წრე სატურნირო ცხრილის თავში ჩავამთავრეთ. გუნდში ექვსი ლეგიონერი ვიყავით, ჩემს გარდა რუსი, ბრაზილიელი, სლოვაკი და ორი იუგოსლაველი იყვნენ. ძირითადში მხოლოდ სამს გვიწევდა თამაში. ბრაზილიელი კარგი ფეხბურთელი იყო, გამორჩევით კი რუს სლავა ირემეევზე ვიტყვი. მის გვერდით თამაში მართლაც დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის, უთქმელად ვუგებდით ერთმანეთს, რაც გუნდის კარგ შედეგსაც განაპირობებდა.

**— იმ სეზონში ინტერტოტოს თასის საგზური მოიპოვეთ...**

— არ ვაჭარბებ, ჩემპიონებიც გავხდებოდით, ფინანსური პრობლემები რომ არ გამოჩენილიყო. უფულობამ პიკს ინტერტოტოს თასის გათამაშებისას მიაღწია. ორი ეტაპი წარმატებით გავიარეთ. სომხურ „შირაქს“ შინ წაგებული მატჩი სტუმრად დავუტრიალეთ, 3:1 მოვიგეთ და მესამე ეტაპზე მეტოქედ „ბრეშა“ გვერგო. იტალიელებთან მატჩის წინ ლეგიონერებმა პრეზიდენტს კუთვნილი ხელფასები ვთხოვეთ, მან კი მოულოდნელი წინადადება შემოგვთავაზა — „ბრეშა“ გააგდეთ და ყველაფერი მოგვარდებაო. რეალურად „ლომბარდი“ არ იყო იტალიელთა დამმარცხებელი. მოკლედ, შევატყვეთ, რომ ფულის გადახდა არ უნდოდა პრეზიდენტს და ექვსივე ლეგიონერმა ბოიკოტი გამოვაცხადეთ — არც ერთს გვითამაშია „ბრეშასთან“ ორრაუნდიან მატჩში. თუმც რა, ის ფული მაინც ვერ ავიღეთ, ჩვენი სიტყვისთვის აღარ გვიღალატია და ყველამ დავტოვეთ გუნდი. ირემეევი უკრაინაში წავიდა და „ჩერნომორეცში“ მოეწყო, დანარჩენები კი საბერძნეთში დავბრუნდით. ყველა იქაური ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდებში გადავიდა, მე კი უმაღლესში მსურდა თამაში, მაგრამ სატრანსფერო სეზონი დახურული იყო და უგუნდოდ დავრჩი.

**— უნგრეთის და საბერძნეთის ჩემპიონატებს შორის თუ არის სხვაობა?**

— ბერძნებს უფრო მაღალი დონე აქვთ, არც არის გასაკვირი, იქაურ ფეხბურთში მეტი ფული, შესაბამისად, მეტი ლეგიონერი ტრიალებს. მიუხედავად ამისა, უნგრეთში გატარებული წელიწადნახევრით უკმაყოფილო არ ვარ. „ლომბარდის“ მწვრთნელი იოშ კიპრი იყო, უნგრეთის ნაკრებისა და „ფეიენოორდის“ ყოფილი ფეხბურთელი. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. უნგრეთში ეულად კი ვიყავი, მაგრამ იქ მცხოვრებ ქართველთა ყურადღება მამხნევებდა. ხშირად მირეკავდნენ მატჩის შემდეგ უცნობი თანამემამულეები, თავისთან მეპატიჟებოდნენ, თამაშებზე მქომაგობდნენ, ბევრი მათგანი დღეს ჩემი მეგობარია და მადლიერი ვარ მათი თანადგომის.

**— უნგრეთში ყოფნისას საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მიგიწვიეს...**

— რევაზ ძოძუაშვილს ახლოს არც ვიცნობდი. ჩვენები რომ ბუდაპეშტში ჩამოვიდნენ, ძოძუაშვილი დამიკავშირდა — სიტუაციას კარგად იცნობ, უნგრეთის ნაკრების ბევრი ფეხბურთელის წინააღმდეგ გითამაშია და გაგსინჯავ, იქნებ გამომადგეო. მეც ნაკრებს შევუერთდი და წინასამატჩო ვარჯიშებზე ბოლომდე დავიხარჯე, ვფიქრობ, ძოძუაშვილი რომ ნაკრებში დარჩენილიყო, უნგრეთთან თბილისურ მატჩში უთუოდ გამომიძახებდა. ნაკრებში ყოფნა [illegible] მაში ჩემი დიდი ოცნებაა და თავს არ დავზოგავ, საწადელს რომ მივაღწიო.

**— მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში სატრანსფერო სეზონს ვერ ჩაუსწარი, ხუთი თვე მაინც იქ დარჩი, თანაც უგუნდოდ...**

— „ირაკლისში“ ვვარჯიშობდი და „ქსანტთან“ კონტრაქტის გასვლას ველოდებოდი. ამასობაში ქებაძე გადმოიბირა „ირაკლისმა“, იგი უმალ მოერგო გუნდის სათამაშო სტილს და მეტად ემადლიერებიან, არც არის გასაკვირი, ლიდერებთან გოლების გატანას „დაეჩვია“ და წამყვან მოთამაშედ უპრობლემოდ იქცა.

**— „ქსანტთან“ კონტრაქტი დაგიმთავრდა, რა გეგმები გაქვს?**

— ივნისამდე რუსთავში დავრჩები. დიდი სურვილი მაქვს, „გორდას“ დავეხმარო. ამ გუნდს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. ამიტომაც უყოყმანოდ დავთანხმდი მათ წინადადებას. „გორდა“ ისეთი ტრადიციების გუნდია, არ უნდა გავარდეს უმაღლესი ლიგიდან. სეზონის ბოლომდე ჩემი უმთავრესი საზრუნავი სწორედ ეს იქნება, მერე კი ისევ საბერძნეთში წავალ, უგუნდოდ ნამდვილად არ დავრჩები.

**— სამი წლის შემდეგ რა ვითარება დაგხვდა საქართველოს ჩემპიონატში.**

— სამწუხაროდ, ბევრი არაფერი შეცვლილა, იგივე დონეა, რაც სამი წლის წინ იყო, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატისადმი ერთგვარი ნოსტალგიური გრძნობა მაქვს. ქართულ ფეხბურთთან ბევრი სიკეთე, ტკბილი მოგონება მაკავშირებს. მინდა, ერთი ეპიზოდი გავიხსენო. „ტორპედოს“ ვხვდებოდით ქუთაისში. ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ სამნი ვთამაშობდით, დანარჩენები ფარმკლუბიდან და სათადარიგოები იყვნენ, „ტორპედოს“ ვერაფრით გაჰქონდა გოლი.

იქაურ ფანებს გაგიჟებას არაფერი უკლდათ. პირველი ტაიმი დამთავრდა, დაიწყო მეორე და მასპინძლები კვლავაც ვერაფერს ახერხებდნენ. მერე კი „ტორპედომ“ როგორღაც გაიტანა, მაშინ იყო, ვიღაცას მოედანზე მყოფი რუსთაველების დათვლა რომ მოუვიდა აზრად და ათნი აღმოვჩნდით. როგორც გაირკვა, შესვენებაზე ჩოხელი შემთხვევით გასახდელში ჩაუკეტავთ...

**ბაათა ძგანტალიანი**

# რევაზიშვილმა შერიფს ბორკილი მიუგდო



გიორგი რევაზიშვილი

**მშობლიურ** „დილას“ დაუბრუნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი გიორგი რევაზიშვილი.

25 წლის მცველი ბოლო რვა თვეა, უსაქმოდ იყო. რევაზიშვილმა მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატი „დილაში“ დაასრულა. 20 მატჩი ითამაშა, ერთი გოლის გატანა შეძლო და მას შემდეგ მოედანს აღარ გაჰკარებია. ტრავმა არაფერ შუაშია. გიორგის ძალიანაც სურდა თამაში, მაგრამ ამის საშუალებას მოლდოვური „შერიფი“ არ აძლევდა.

„შერიფში“ რევაზიშვილი სამი წლის წინ ჩაირიცხა და ტირასპოლურ კლუბში უმალ დაიმკვიდრა ადგილი. გუნდის მესვეურები მისით კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ წარმატება უიღბლობამ შეცვალა და რევაზიშვილი მალე საოპერაციო შეიქნა. მიზეზი მენისკი გახლდათ. მიუხედავად ტრავმისა, გორელმა დიდი ძალისხმევის ფასად მაინც შეძლო სათამაშო ფორმის აღდგენა და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება, ყოველივეს კი ფეხბურთელისთვის მეტად სამწუხარო გაგრძელება მოჰყვა — ისევ ტრავმა — რევაზიშვილმა წინასამატჩო მოთელვისას მუხლი იტკინა და „შერიფში“, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩა. მომჯობინებულ ქართველ მცველს კლუბის ახალმა მწვრთნელმა შანსი აღარ მისცა და გიორგიც მოლდოველებმა ჯერ კიშინიოვურ „ჰაიდუკში“ გაანათხოვრეს, მერე კი საქართველოში გაისტუმრეს. ამასობაში კონტრაქტიც ამოიწურა და, წესით და რიგით, ფეხბურთელს თავად უნდა ეზრუნა საკუთარ მომავალზე, მაგრამ ტირასპოლელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი აფრინეს, რევაზიშვილის საკომპენსაციოდ 120 ათას დოლარს ვითხოვთო. ამდენის გადამხდელი კი არც გორის „დილა“ იყო და არც ბევრი სხვა კლუბი. ჰოდა, ფეხბურთელიც უსაქმოდ დარჩა, თუმც მის უიღბლობას გუშინწინ დაესვა წერტილი, რაშიც დიდი წვლილი სფფ-ის სატრანსფერო კომიტეტს მიუძღვის. ჩვენებმა საპროტესტო წერილი აფრინეს უეფაში, ფიფა-უეფას სატრანსფერო წესდების ახალი პუნქტები მოიშველიეს და „შერიფიც“ იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. შედეგად, გუშინწინ სფფ-ში რევაზიშვილის „შერიფიდან“ განთავისუფლების ფურცელი მივიდა, მოკლედ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

რევაზიშვილი დღესვე ჩაებმება ეროვნულ ჩემპიონატში. 21-ე ტურის მატჩში პირველი ლიგის ლიდერი „დილა“ „ლოკომოტივი 3“-ს სტუმრობს.

მოლდოვური „შერიფიდან“ კიდევ ერთი თავდახსნილი მიხეილ თაყაძე კი კარიერას, სავარაუდოდ, „ცხინვალში“ გააგრძელებს.

**ბაათა ძგანტალიანი**

# ბურნაძემ სიონს ჰანოვერი დაუმალა



ალექსანდრე ბურნაძე

**ბობოქრობს** ბოლნისური „სიონი“ — უგზოუკვლოდ გაქრა ქვემოქართლელთა ახალწვეული ალექსანდრე ბურნაძე.

ბურნაძე „გორდადან“ გადავიდა „სიონში“, ახალ გუნდთან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი და საგაზაფხულო ეტაპის პირველივე ტურში ითამაშა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. ეს იყო და ეს, სანდრომ ბოლნისში ერთი-ორიც წაივარჯიშა და გაქრა. ქვემოქართლელები დღემდე ელიან მის გამოჩენას, თუმც ვეჭვობთ, ლოდინი დიდხანს მოუწევთ.

— ბურნაძეზე იმედებს ვამყარებდით და სამწუხაროა, რომ მან ასე გაურკვეველ ვითარებაში დატოვა გუნდი, არც კი ვიცი, სად არის. ერთ კვირას კიდევ დაველოდებით და მერე კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტთ მის საკითხს — გვითხრა „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ.

აღშფოთებულია ბოლნისის რაიონის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძეც, ბურნაძემ საკონტრაქტო თანხა აიღო და ჩვენი მოტყუების უფლება არ ჰქონდაო.

მოკლედ, ძნელი სათქმელია, რა გაგრძელება მოჰყვება ამ პატარა სკანდალს. საკითხავი ის არის, სად არის ამჟამად ფეხბურთელი. ბოლნისელებს წარმოდგენაც არა აქვთ, ამის შესახებ. სარწმუნო წყაროს ცნობით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი გერმანიაში იმყოფება და ცდილობს, „ჰანოვერს“ მოაწონოს თავი.

„ჰანოვერი“ მეორე ბუნდესლიგის ლიდერია და ცალი ფეხით გერმანიის რჩეულთა შორისაა აღზევებული, მაგრამ ფაქტია, იქ მოსახვედრად ქართველს დიდი ჯაფა დაადგება. ჯერ ერთი, გერმანელები უნდა მოხიბლოს, მეორეც „სიონთან“ ექნება პრობლემა მოსაგვარებელი — ბოლნისელები ხომ მისი მისამართით თითს იქნევენ.

**ბაათა ძგანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

## უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# ისრაელშია ზეიმი დიდი

## ჰაპოელი კი მიდის და მიდის

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 1:0 მილანი (იტალია)
1:0 კლეშჩენკო (32)
**ჰაპოელი:** ელიმელეხი, ბაჩარი, გერშონი, ა. დომბი, ანტები, აბუქსისი, ჰალმაი, ონიშჩენკო, პიშონტი (ტუამა 69), კლეშჩენკო (ბალილი 81), ოსტერცი
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
**მილანი:** აბიატი, კონტრა, კოსტაკურტა, შამოტი, როკე ჟუნიორი, ალბერტინი, ამბროზინი (კალაძე 78), სერჟინიო, რუი კოშტა (პირლო 67), ხავი მორენო, ხოსე მარი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, ონიშჩენკო, კონტრა, ამბროზინი, ანტები, სერჟინიო
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
4 000 მაყურებელი

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 ვან ჰოიდონკი (45), 1:1 კეჟმანი (47)
**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ჰოფლანდი, ჰაინცე (ბახოკიძე 56), რომედალი, ვან ბომელი, ლუსიუსი (დე იონგი 73), ბუმა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბრუგინკი 82), კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
**ფეიენოორდი:** ზუტებირი, ემერტონი, ვან ვონდერენი, ლოოვენსი, რფასა, კალუ (შმოლარეკი 78), ბოსველტი, ონო, ვან პიერსი, ტომასონი (ელმანდერი 82), ვან ჰოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ვან ვონდერენი, ჰოფლანდი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
31 000 მაყურებელი

ინტერი (იტალია) 1:1 ვალენსია (ესპანეთი)
1:0 მატერაცი (52), 1:1 რუფეტე (65)
**ინტერი:** ფონტანა, კორდობა, მატერაცი, შიმიჩი, ხ. ძანეტი, კონსეისაუ (რეკობა 79), დი ბიაჯო, გულიელმინპიეტრო (დალმა 72), ზეედორფი, ვენტოლა, კალონი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
**ვალენსია:** კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, დე ლოს სანტოსი, რუფეტე (ხუან სანჩესი 90), აიმარი (ვისენტე 60), კარეუ (ანგულო 63), კილი გონსალესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კონსეისაუ, კარბონი, ვისენტე, ალბელდა
გაძევება: კილი გონსალესი (55)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
24 184 მაყურებელი

ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:0 დორტმუნდი (გერმანია)
**ლიბერეცი:** კინსკი, პილნი, ვალახოვიჩი, ჰოლენაკი, იანუ, იოჰანა, ლანგერი, კოლუშეკი, ზბონჩაკი, სტაინერი, ნეზმარი
მწვრთნელი: ლადისლავ იაკორბილი
**დორტმუნდი:** ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, იურგენ კოლერი (მეცელდერი 70), ჰაინრიხი, სტევიჩი, ოლისე, ევერტონი (ოდონკორი 63), როსიცკი, ამოროზო (ო. ადდო 85), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: კოლუშეკი, როსიცკი, იანუ
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
14 458 მაყურებელი

**თუ „მილანმა“** კარლო ანჩელოტის ხელში ისევ შავ ზოლზე სიარული განაგრძო, მალე, ადვილი შესაძლებელია, თვითონ მწვრთნელი და გუნდი გულშემატკივართა ტერორის ობიექტად იქცნენ. შეიძლება, კამიკაძე ტერორისტებს სადმე გაერიდო, მაგრამ ქომაგთა რისხვას ვერ გადაურჩები. ნიქოზიაში გადატანილი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე კი გაიმართა, მაგრამ დამსწრე 4000 მაყურებლიდან 3500 „ჰაპოელს“ ჩაყოლილი ებრაელობა გახლდათ. კვიპროსის პოლიციამ სტადიონს ალყა შემოერტყა და შემსვლელთ სულ რენტგენით აშუქებდნენ, შემთხვევით ვინმეს ასაფეთქებელი არ შეჰყვესო. აფეთქება მაინც მოხდა, ოღონდ იგი გატანილ გოლს მოჰყვა. იოსი აბუქსისმა საჯარიმოში შეჭრილ სერგეი კლეშჩენკოს ბურთი ფეხზე დაასვენა და მოლდაველმაც კრისტიან აბიატის ზუსტად დაურტყა. „მილანს“ აშკარად აკლდა ანდრეი შევჩენკო, ურომლისოდაც „შავ-წითელთა“ შეტევები უკბილოდ გამოიყურებოდა. მეორე ტაიმში იტალიური კლუბი საგრძნობლად გამოცოცხლდა და და „ჰაპოელის“ კარის დაცხრილვას მოუხშირა. მეკარე შავიტ ელიმელეხი, ჩვეულებისამებრ, ბრწყინვალედ გაისარჯა და იტალიელებს არ გაატანინა. კახა კალაძე: „დიდი პატივისცემით და სიმპათიით ვარ განმსჭვალული, როგორც საერთოდ ებრაული ფეხბურთის, ასევე „ჰაპოელის“ მიმართ. ვაღიარებ, ისეთ გუნდებს, როგორიც „ჰაპოელია“, „მილანი“ უნდა ამარცხებდეს. ამიტომ მრცხვენია, რომ ჩემმა გუნდმა, მოგებაზე აღარაფერს ვამბობ, ფრეც კი ვერ გაახერხა. მიუხედავად ამისა დარწმუნებული ვარ, მომავალ ხუთშაბათს საპასუხო მატჩში, „ჰაპოელი“ თავს დადებს „სან სიროზე“ სასურველი შედეგის მისაღწევად. მთელი მსოფლიო ხომ მოლოდინში იქნება, შეძლებს თუ არა ებრაული გუნდი ბოლოლა „მილანის“ ჩამოშორებას. ეს უფრო მეტ სტიმულს მისცემს მათ. ვფიქრობ, მილანში შევძლებთ, უფრო აზრიანი და შედეგიანი ფეხბურთი ვითამაშოთ“.

დრორ კაშტანი, გამარჯვებულთა თავკაცი: „ჩემმა ბიჭებმა გმირობა ჩაიდინეს. მათ ისრაელის გატანჯულ მოსახლეობას ღიმილი დაუბრუნეს და სიხარული აჩუქეს. ჩვენ სამშობლოსგან შორს ვიყავით, მაგრამ ქომაგთა ერთგულებამ ეს არ გვაგრძნობინა. ფეხბურთელები ძალიან კარგად მოემზადნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ტიტულიან კლუბთან სათამაშოდ“. კარლო ანჩელოტი: „ჰაპოელმა“ შესანიშნავი ფეხბურთი გაჩალა, თუმც, ვფიქრობ, გამარჯვებას „მილანი“ უფრო იმსახურებდა. საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ბურთი გაჯიუტდა და კარში არ შევიდა. თუ შინაც ასე ვითამაშებთ, შედეგი რადიკალურად განსხვავებული იქნება“. „ჰაპოელმა“ უკვე მერამდენე ლექცია წაუკითხა ევროგრანდებს, მაგრამ ფულიანი ევროპელები ყურს არ იბერტყავენ. ამიტომაც დადიან ცხვირჩამოშვებულები.

ექტორ რაულ კუპერმა კრისტიან ვიერის დასვენება განიზრახა. 18 მატჩში 18-ჯერ გაგვახარა და სულის მოთქმა მასაც სჭირდებაო. ორი ძნელად დასამარცხებელი გუნდის კლასიკური ჭიდაობა მოსალოდნელი ფრით დასრულდა. ეს ფრე ნაკუპერალს აძლევს ხელს, ხოლო „ინტერს“ ვალენსიაშიც მოუწევს კლასის მტკიცება. უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ მარკო მატერაციმ კარის წინ იმარჯვა და მისი გოლი მასპინძელთა სიხარულის მიზეზი შეიქნა. მალევე სტუმრებს კილი გონსალესი გამოაკლდათ. მოჰამედ კალონის რატომ ეუხეშეო, მსაჯმა მინდვრიდან მიაბრძანა. ამ ამბიდან სულ ცხრა წუთი იყო გასული, ხავიერ რუფეტემ საპასუხო რომ შეაგდო. კაცნაკლული სტუმრები ერთობ გაუძალიანდნენ „ინტერს“ და სასურველი შედეგითაც დაასრულეს შეხვედრა. რაფაელ ბენიტესი, ცხადია, კმაყოფილი იყო: „ვფიქრობ, ფრე ჩვენთვის კარგი შედეგია. გოლიც გავიტანეთ სტუმრად და არ წავაგეთ. ეს შეიძლება ნახევარფინალში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდეს“.

ჰოლანდიური დერბი პსვ-სა და „ფეიენოორდს“ შორის მშვიდობიანად დამთავრდა. მეტოქეებმა საგოლედ ორჯერ მოიქნიეს ფეხი. პირველი ტაიმის მიწურულს ვატერეუსის უკუგდებულ ბურთს ვან ჰოიდონკმა კარში მიუჩინა ადგილი. მეორე ნახევარი სულ ახალდაწყებული იყო, ვან ბომელმა მატეა კეჟმანი სტუმართა მეკარეს პირისპირ რომ შეჰყარა. იუგოსლავიელმა ფორვარდმაც გაათანაბრა.

ერთადერთი, უგოლოდ დასრულებული მატჩი „ლიბერეცის“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის ჩეხეთში გაიმართა. გუნდები დაცვაში ბევრად უკეთ გაისარჯნენ, ვიდრე შეტევაში. „ვიცოდი — თქვა მათიას ზამერმა — გამარჯვება ძნელი იქნებოდა, ამიტომ შევეცადეთ, გოლი არ გაგვეშვა. საპასუხო შეხვედრაში მოსაგებად და ნახევარფინალში გასაღწევად ვითამაშებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

ინტერი — ვალენსია. ესპანელმა კურო ტორესმა გული არ გაატარა



ექტორ რაულ კუპერს მძიმე ბავშვობა ჰქონია

# ღარიბი და პატიოსანი

**ერთობ** მოღუშული და მკაცრი იერის მქონე ექტორ რაულ კუპერს, ეტყობა, გულზე კაეშანი შემოაწვა და პრესას გული გადაუხსნა. არგენტინა, ბუენოს აირესი გაიხსენა, სადაც ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა:

„ჩემი მომავალი მეუღლე მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა. მის სახლს აივანი ჰქონდა, ჩემსას — არა. იგი მე ფანჯარაში მჭვრეტდა, მას კი აივანზე გამოსულს ვუმზერდი. მაშინ 17 წლის ვიყავი. გოგონა მდიდარი არქიტექტორის შვილი იყო, მე ღარიბ-ღატაკ-უქონელი. შვიდი თვის განმავლობაში ვერ ვწყვეტდი, გამემხილა თუ არა მისთვის ჩემი გულისნადები. ბოლოს გავბედე და დავპატიჟე, ერთად წავედით ფეხბურთის საყურებლად. აი, იქიდან აკოკრდა ჩვენი სიყვარული, რომელმაც სამი შვილი მაჩუქა“.

ექტორი ბავშვობაშივე დაობლებულა და ბებია ზრდიდა თურმე:

„ბებიას როზა ერქვა, მუდმივად დისციპლინისკენ მომიწოდებდა და რაც გამაჩნია, მას უნდა ვუმადლოდე. გახსოვდეს, მეტყოდა ბებია, ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ პატიოსანნი“.

ჭაღარა არგენტინელს ბავშვის აღზრდაზეც საკუთარი აზრი აქვს: „თუ თქვენ პატარა ბიჭი გყავთ, მიეცით მას ბურთი, რომელიც ოცნებას ასწავლის. ოცნება კი ტვინის მუშაობის საწყისია, რაც საბოლოო მიზნის მისაღწევად მომართავს ბავშვს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დამცენტრეთ!

## ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე, ეს გამოცანა ჩვენზე არ არის



ლილიან ტურამი და კახა კალაძე

**ლილიან ტურამი** ტრავმირებული გახლავთ და სამშაბათს რომ მისმა „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად „ლევერკუზენთან“ წააგო, ფრანგ ზანგს იქ არ ულაპლაპია.

სამაგიეროდ, ბრძანა: „მართალია, დეკემბერში შინ „ლევერკუზენს“ 4:0 მოვუგეთ, მაგრამ ის შეხვედრა ხომ ნისლის გამო ორჯერ გადაიდო და გერმანელებიც ვეღარ განეწყვნენ თამაშისთვის. ახლა კი მათი ჯერი იყო“.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ისიც თქვა, დროა, ჩემს ამპლუას დავუბრუნდეო: „ოთხი წლის წინ, მუნდიალზე მარჯვენა მცველად ვთამაშობდი და ყველას მარჯვენაფლანგელი ვგონივარ. მაგრამ მანამდე ხომ, სულ ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი. „იუვენტუსშიც“ მარჯვნივ გამამწესეს და თან მსაყვედურობდნენ შესაძლებლობების მაქსიმუმს არ ავლენო...“

ბოლოს ტურამი კორეა-იაპონიის თემასაც გადასწვდა: „ძლიერი გუნდი მუნდიალზე ბევრი იქნება. მათგან პორტუგალიას, იტალიას, ბრაზილიას და არგენტინას გამოვარჩევდი. თუმც ისეთ ნაკრებს ვერ ვხედავ, სხვებზე ერთი თავით მაღლა რომ იდგეს. ამბობენ, ასეთი საფრანგეთი იქნებაო, მაგრამ საშწუხაროდ ჩვენი გუნდი დაუმარცხებელი ნაღდად არ არის“.

**ნელი ჩქარეული**

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## B ჯგუფი: ესპანეთი, სლოვენია, პარაგვაი ს.აფრიკა



**ფართობი:** 1 219 912 კმ²
**მოსახლეობა:** 43 400 000
**დედაქალაქი:** პრეტორია
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1892 წელს, აპარტეიდის გამო აღსდგა 1991 წელს
ფიფას წევრი 1956 წლიდან, 1976 წლამდე, აპარტეიდის გამო გარიცხეს მისი რიგებიდან და აღადგინეს 1992 წელს
აფრიკის კონფედერაციის წევრი 1957 წლიდან აპარტეიდის გამო გარიცხეს მისი რიგებიდან და აღადგინეს 1992 წელს
**ფედერაციის პრეზიდენტი:** მოლეფი ოლიფანტი
**გენერალური მდივანი:** დენი ჯორდანი
**სტადიონი:** „იოჰანესბურგ სოკერ სიტი“ (75 000)
**მწვრთნელი:** იომო სონო
**კაპიტანი:** შონ ბარტლეტი
**ფორმა:** ოქროსფერ-შავი (კომბინირებული) მაისური, მწვანე ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „კაიზერ ჩიფსი“, „აიაქს კეიპტაუნი“, „მამელოდი სანდაუნსი“, „ორლანდო პაირატსი“, „იომო კოსმოსი“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 33




## განრიგი

**2 ივნისი**
პუსანი (კორეა). 11.30 საათი
„პუსან სტადიუმი“
სამხ. აფრიკა – პარაგვაი

**8 ივნისი**
დაეგუ (კორეა). 10.30 საათი
„დაეგუ უორლდ ქაფ სტადიუმი“
სამხ. აფრიკა – სლოვენია

**12 ივნისი**
დაეხონი (კორეა). 15.30 საათი
„დაეხონ უორლდ ქაფ სტადიუმი“
სამხ. აფრიკა – ესპანეთი

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი**
09.04.2000
ლესოტო 0:2 სამხ. აფრიკა
22.04.2000
სამხ. აფრიკა 1:0 ლესოტო
09.07.2000
ზიმბაბვე 0:2 სამხ. აფრიკა
27.01.2001
სამხ. აფრიკა 1:0 ბურკინა ფასო
25.02.2001
მალავი 1:2 სამხ. აფრიკა
05.05.2001
სამხ. აფრიკა 2:1 ზიმბაბვე
01.07.2001
ბურკინა ფასო 1:1 სამხ. აფრიკა
14.07.2001
სამხ. აფრიკა 2:0 მალავი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. აფრიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ზიმბაბვე | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ბურკინა ფასო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| მალავი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |



# პერიო, ბიჭებო, პერიო

**როგორც იქნა!** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებს ხეირიანი სპარინგ-პარტნიორი მოუძებნა და ეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებია. ისიც მოგეხსენებათ, რომ ბაფანობა ვაკეში, „ლოკომოტივზე“, 27 მარტს შედგება.

წინა საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთელებმა აპარტეიდი უარყვეს და ათწლეულების მანძილზე მსოფლიოსგან იზოლაციაში მოქცეულები ისევ საერთო მარაქაში გაერივნენ. თან უბრალოდ გაერივნენ კი არა, კრიკეტის ტაფელასა და გოლფის ყვანჯის მარჯვედ ქნევით და სარაგბო მარაოების უბადლოდ გაშლით მოიწონეს თავი.

და ფეხბურთი? ახალგაზრდა საფეხბურთო ქვეყნებს — ხორვატიასა და სლოვენიას თუ ეთქმით ამ სახეობაში სიტყვა, სამხრეთელებს მით უმეტეს, ბოლოს და ბოლოს, პირველი შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება იყო და იმ პირველივე ცდაზე, 1996 წელს, კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ!

აფრიკის მომდევნო თასზე, ორი წლის მერე, „ბაფანა ბაფანა“ ფინალშიღა დამარცხდა, სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაჭრა მოახერხა. ხოლო იქ როგორც ითამაშა, ვინძლო, არ დაგვიწყებიათ: მარცხი საფრანგეთთან, დანიასთან და საუდის არაბეთთან კი ფრეები გაახერხა. ასეთი ისტორიაც გეხსომებათ: ფრანგებთან ნაკრების მაშინდელმა კაპიტანმა პიერ ისამ, რაღაც საოცარი უიღბლობით, ავტოგოლი მიითვალა. მეორე მხრივ, მუნდიალზე პირველად გასულთათვის ორი ფრეც არ არის ურიგო შედეგი, ახლა კი სამხრეთაფრიკელები უკეთეს შედეგს — ჯგუფიდან გაღწევას უმიზნებენ.

აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი შემადგენლობიდან კორეა-იაპონიაში სავარაუდოდ შვიდი ფეხბურთელი გაემგზავრება: მეკარეები ანდრე არენდსე და ჰანს ვონკი, მცველი პიერ ისა, ნახევარმცველები კვინტონ ფორჩუნი და ერიკ ტინკლერი, თავდამსხმელები ბენი მაკკარტი და შონ ბარტლეტი. სხვათა შორის, საფრანგეთის მუნდიალზე „ბაფანა ბაფანამ“ სამი გოლი გაიტანა და ისინი სწორედ ამ ფორვარდებმა გაიყვეს — ორი გოლი ბარტლეტმა და ერთიც მაკკარტიმ მიითვალა. ასევე ვარაუდობენ, რომ ნაკრებში ადგილს დაკარგავენ ლუკას რადებე, ხუმალო, ფილ მასინგმა, ჰერმან მხალელე, მარკ ფიში და ჯონ მოშუ. ამათგან, იანვარ-თებერვალში გამართულ აფრიკის თასის ბოლო გათამაშებაზე, განაცხადში არცერთი ყოფილა და ეს ვარაუდიც აქედან გამომდინარეობს. მეორე მხრივ, სამუნდიალოდ ადგილები დაბევებული აქვთ სამხრეთაფრიკელთა ახალი თაობის ვარსკვლავებს, უდინეზელ სიაბონგმა ნომვეტესა და კოპენჰაგენელ, ქუთაისის „ტორპედოს“ ნაცნობ და მიხაელ აშვეთიას თანაგუნდელს, თმაყვითელა ზანგს სიბუსისო ზუმას. და ერთი განმარტებაც — ლუკას რადებეს შემადგენლობიდან ამოვარდნა ოდენ მისი ტრავმის ბრალია და თუ დროულად მოირჩინა და ფორმაში ჩადგა, დაცვის ცენტრში მოცალე ძნელად თუ გამოუჩნდება. ისე კი თბილისში სათამაშოდ ჩამოსულ შემადგენლობაში სამუნდიალოდ ცვლილებები, ალბათ, აღარც მოხდება, ხოლო სათბილისო შემადგენლობას დღევანდელ „სარბიელში“ ცალკე ცალკე წერილი ეძღვნება.

„ბაფანა ბაფანაში“ კი მთავარი ამბავი მწვრთნელის შეცვლაა, რაზეც ასევე გვეწერა, ამიტომ მოკლედ გავიხსენოთ. მალიში, აფრიკის თასზე გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა, თავიდან ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მიჩნეულმა ნახევარფინალშიც ვერ გააღწია და, რა გასაკვირია, მოზამბიკელი მწვრთნელი კარლოს კეირში რომ მოხსნეს. მისი ადგილი ნაკრების ძველმა მწვრთნელმა (1998 წლამდე), ბოლო ხანს კი ტექნიკურ დირექტორად მომუშავე იომო სონომ დაიკავა. უფრო სწორი კი იქნება, ვთქვათ, რომ სწორედ სონოს ძალისხმევით დაატოვებინეს კეირეშსს პოსტი. ამ ორის საფეხბურთო მსოფლმხედველობაში უმთავრესი სხვაობა კი ის არის, რომ მოზამბიკელი ლეგიონერებს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო სონო ამბობს, არც შინაურ პირველობაზე მოთამაშენი არიან ჯაბანნიო. ისე, აბა, რას იტყვის, როცა იმავდროულად ერთი იქაური კლუბის, „კოსმოსის“ მფლობელია.

ბოლოს კი ისა ვთქვათ, „ბაფანა ბაფანა“ რას ნიშნავს. ზულუს ტომის ენაზე „ბიჭები“ ყოფილა. რაღაც გრძელი სიტყვები ჰყვარებიათ ზულუსტომელებს.

**გიორგი დარჯანია**



მალიში „ბაფანა ბაფანას“ ფანობამ ვერაფრით გაიხარა

## ოპტიმალური შემადგენლობა




## არის ასეთი ქვეყანა

იყო დრო, როცა ბრიტანეთის იმპერია დედამიწის ყველა კუთხეში ცხვირს ჰყოფდა და მე-19 საუკუნის ბოლოს პლანეტის ნახევარი არა, მაგრამ არც ბევრად ნაკლები მისი გახდა. ავსტრალიაო, ჩემო ბატონო, კანადა, ინდოეთი, უთვალავი კოლონიები აფრიკაში და კიდევ მეტი სამი ოკეანის კუნძულებზე. დედოფალ ვიქტორიას გვირგვინის ერთ-ერთ ზორბა მარგალიტად სამხრეთ აფრიკაც იყო შეგულებული, მაგრამ ვიქტორიამ სიკვდილი მოასწრო და შავი კონტინენტის სამხრეთი ბოლო მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1901 წელს დაემორჩილა ჯონ ბულის ნაშიერებს.

იქამდე სამხრეთ აფრიკის ფრიად ნაყოფიერ მიწებზე (სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს) ჰოლანდიელები დასახლდნენ, მიიღეს აგრეთვე მოზრდილი ოდენობით ჰუგენოტი ფრანგები — რომლებიც სამშობლოში რელიგიურ დევნას გაექცნენ — და საერთოაც სახელად ბურები დაირქვეს.

მოუსვენარი ინგლისელების გამოჩენას ბურებმა მიგრაციით უპასუხეს, ანუ დათმეს კაპის პროვინცია და კონტინენტის სიღრმეში ორანჟის და ტრანსვაალის რესპუბლიკები დააფუძნეს, მაგრამ რა... ინგლისელებმა ჯერ ნატალის პროვინციაში ზულუსთა სათხედების სროლა ალკვეთეს და ტერიტორია გაიმრავლეს, მერე კი ბურებს მიესივნენ სრული ძალით.

ომი სამ წელს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღშფოთებული იყო. ევროპიდან აფრიკას ქვეყნის მოხალისეებმა მიაშურეს. სხვებთან ერთად ბურთა უბედურებამ ნერვები აუშალა ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანელს, ვისაც მერე ნიკო ბურს უწოდებდნენ. მან იომა, ტყვედ ჩავარდა და ძლივს მობრუნდა საქართველოში, ხოლო თვით ბურთა ტყვე გახლდათ ახალგაზრდა ინგლისელი ოფიცერი, უინსტონ ჩერჩილი, რომელიც არ დახვრიტეს, თორემ...

მე-20 საუკუნის სამხრეთ აფრიკა — ეს არის აწ უკვე ისტორიული აპარტეიდი და რაგბი, რომელსაც იქ ფეხბურთზე მეტ პატივს სცემენ.

**დავით ბუღუა**

## ტიტულები

აფრიკის ჩემპიონი (1): 1996
მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე (1): 1998

# ოხხ, კიკუ!.. და „პეპსი“



REUTERS ლონდონიდან

აი, ბატონებო, ბრიტნი სპირსი ფეხბურთელის ფორმაში მრგვალი ფორმებითა და იღლიაში ამოჩრილი ბურთით. ვიცით, ბევრმა ინატრეთ, რომ იმ ბურთის ადგილას თქვენი თავი ყოფილიყო, მაგრამ ბედნიერება იშვიათი ხილია და რაში გაინტერესებთ, მაგრამ მაინც მოგახსენებთ; კარგად დავარცხნილი ბრიტნი „პეპსის“ უკეთებს რეკლამას, რომელიც თავის მხრივ კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრანსლაციათა ექსკლუზიურ უფლებას განაგებს და დღიდან დღემდე ზრდის მარკეტინგულ დაწოლას გამაგრილებელ სასმელთა ბაზარზე.

აი, ქალბატონებო, დევიდ ბექემი (უფრო ზუსტად მისი ვეება პლაკატი), რომელსაც „პეპსი“ ტუჩზე მიუყუდებია და გამოზოგილი სიამოვნებით წრუპავს. რალაც ოცნებებმა თქვენც ხომ არ დაგაყრუანტელათ? და რაში გაინტერესებთ, მაგრამ ბექემიც „პეპსის“ რეკლამას აკეთებს ჩინეთში და ეჭვი არ არის, ორი აღმოსავლელი ბატონი უეჭველად დაიხარჯება ამ სითხით ყელის გაგრილებისთვის.

**დავით გულუა**




REUTERS შანხაიდან

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

## პანკისი ფიქჩერზ წარმოგიდგენთ

კადრში ჩანს სტრიპტიზ ბარი. შემთვრალი, მელოტი მამაკაცები იდიოტური აღფრთოვანებით შეჰყურებენ სცენაზე აღმართული, მთელი დედამიწისთვის გაუგებარი ძელის გარშემო როგორ იკვანწება ამ ძელს ჩაბღაუჭებული ორი ბიკინიანი ქალი. იღება ბარის კარი და შემოდის ორი მოქუფრული კაცი. ერთი შავკანიანია, მეორე ქართველი. ისინი სცენას ცალი თვალით გახედავენ, ჯიქური ნაბიჯებით გადაკვეთენ დარბაზს და სცენის უკან პატარა კარში შევლენ. პატარა კარს მიღმა პატარა ოთახია, სადაც ყვითელ პერანგში, წითელ პიჯაკსა და მწვანე შარვალში გამოწყობილი, ყველა თითზე დიდ ბეჭედასხმული, ორივე მაჯაზე სამ-სამი ოქროსჯაჭვიანი ტიპი ზის და ისე იქცევა, რომ მაყურებელი ხვდება — კაიფშია. მოქუფრული კაცები წინ დაუდგებიან. ზანგი ეუბნება:

— ეი, დამპალო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს უნდა გვაპოვნინო

ის პასუხობს: — რა?

ქართველი: — დაგავიწყდა შე ნაგავო, მენაგვეებმა რომ არ გაიტანეს და ბუნკერში დატოვეს?

ის: — რა?

ზანგი ქეჩოში კიდებს ხელს: — რა და, რის პოვნასაც დაგვპირდი.

ამ დროს ოთახში შემორბიან კაიფში მყოფი ტიპის ხელქვეითები, იშიშვლებენ პისტოლეტებს, ატყდება სროლა და ზანგი კვდება. ქართველი მის ცხედართან დაიხრება. ტირის. ცხედარი თვალს ალებს. ტუჩის კუთხიდან წვრილად მოსდის სისხლი.

ქართველი: — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

ზანგი (იღიმება): — არა. მე ვიცი, რომ ტყვიამ ჩემს გულში ორი წრე დაარტყა და ახლა ფილტვისკენ მიდის. ერთსა გთხოვ. მიდი სარასთან და უთხარი, რომ ძალიან მიყვარს, მერე კი დამიკოცნე ჯოშუა, ჯიმი, გარი, ტომი, ბობი, ჯონათანი, ლიზა, მელანი, ჯულია, სელენა, ლორი, ენდი, სენდი, კარინა, მერი, გარი უმცროსი, ანჯელა უფროსი, ჯორჯი, ნიკი არ მახსოვს გითხარი თუ არა, პიტერი, ნელსონი, სუზი, ანაბელი, უბრალოდ ანა, კონი, მონი, სილვეს...

აქ ზანგი თავს უკან აგდებს და მართლა კვდება. ქართველი წამოდგება, კაიფში მყოფ ტიპს თვალებში ჩახედავს და ეტყვის:

— მე შურს ვიძიებ, იცოდე, დადგება დღე, როდესაც მოგკლავ, მაგრამ მანამდე დაგაბრუნებინებ იმას, რაც დაიკარგა.

ტიპი კაიფში: — კი, მაგრამ, იმას რაც დაიკარგა აქ რა უნდა? თქვენთან მოიკითხე, დიდუბეში.

ქართველი: — დიდუბის მაფიას თქვენ ხელმძღვანელობთ.

ტიპი კაიფში: — მე არავის არ ვხელმძღვანელობ. აქ საქმე რთულადაა.

ქართველი: — ყველაფერი იოლადაა!

ტიპი კაიფში: — არა, რთულადაა!

ქართველი: — არა, იოლად!

ტიპი კაიფში: — არა, რთულად!

ქართველი: — არა, იოლად!

აქ ქართველი გატრიალდება და ფანჯრიდან ხტება. ვინაიდან ფანჯარა დაკეტილი იყო იმსხვრევა შუშები. ტიპი, რომელიც კაიფშია მობილურზე კრეფს 17-ციფრიან ნომერს.

ხმა ყურმილში: — ალო

ტიპი კაიფში: — აქ იყო. ისევ ეძებს

ხმა ყურმილში: — მერე, ვერ მოკალით?

ტიპი კაიფში: — ვერა.

ხმა ყურმილში: — ვახ, მე მაგის... ვერ გავიგე ტო, რას ეძებს, რა დაკარგვია.

და ეკრანზე იწერება:

ენგელბერტ პონტელავა

ფილმში

ქართული ფეხბურთის ძიებაში (III)

**პაპუნა კედია**

**P.S.** ფილმში ყველაფერი გამოგონილია ქართული ფეხბურთის დაკარგვის გარდა



## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

**I ჯგუფი. IV ტური**

**სან კაეტანო (ბრაზილია) 3:0 კობრელოა (ჩილე)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან კაეტანო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 9 |
| სერო პორტენო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კობრელოა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ალიანსა | 4 | 0 | 1 | 3 | 0:11 | 1 |

**V ჯგუფი. IV ტური**

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორელია | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:8 | 8 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| სპორტინგ კრისტალი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

**VI ჯგუფი. IV ტური**

**სანტიაგო უონდერერზი (ჩილე) 1:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| მონტევიდეო უონდერერზი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| სანტიაგო უონდერერზი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ემელეკი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

## პორტუგალია

**I ლიგა. XXVII ტური**

**სალგეიროში 1:2 ბელენენსეში**

0:1 პეიშოტო (24), 0:2 სემედუ (31), 1:2 ედუ (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 26 | 17 | 6 | 3 | 57:20 | 57 |
| ბოავიშტა | 26 | 17 | 5 | 4 | 42:14 | 56 |
| პორტუ | 26 | 15 | 3 | 8 | 46:28 | 48 |
| ბენფიკა | 26 | 13 | 9 | 4 | 47:30 | 48 |
| ბელენენსეში | 27 | 13 | 5 | 9 | 41:36 | 44 |
| მარიტიმუ | 26 | 13 | 3 | 10 | 36:27 | 42 |
| ლეირია | 26 | 11 | 8 | 7 | 39:27 | 41 |
| გიმარაეში | 26 | 10 | 7 | 9 | 28:25 | 37 |
| ფერეირა | 26 | 9 | 9 | 8 | 36:34 | 36 |
| სანტა კლარა | 26 | 9 | 7 | 10 | 25:32 | 34 |
| ბრაგა | 26 | 8 | 9 | 9 | 30:25 | 33 |
| ბეირა მარი | 26 | 7 | 7 | 12 | 38:46 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 26 | 7 | 6 | 13 | 26:42 | 27 |
| სეტუბალი | 26 | 6 | 8 | 12 | 27:32 | 26 |
| ვარზიმი | 26 | 6 | 6 | 14 | 22:46 | 24 |
| სალგეირუში | 27 | 6 | 6 | 15 | 22:57 | 24 |
| ალვერკა | 26 | 6 | 4 | 16 | 29:50 | 22 |
| ფარენსე | 26 | 5 | 6 | 15 | 20:40 | 21 |

## ამხანაგური მატჩი

**საუდის არაბეთი 0:2 ესტონეთი**

0:1, 0:2 ზელინსკი (10, 51)

**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-23-15

## იტალია

პაპუნა კიღია




კარლო ანჩელოტიმ თავის „მილანთან" ერთად წაივარჯიშა

# ყველას თავისი აქვს საზრუნავი

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რომა | - | ატალანტა |
| ხვალ | | |
| ფიორენტინა | - | ბოლონია |
| ლეჩე | - | ინტერი |
| ბრეშა | - | ლაციო |
| პერუჯა | - | პარმა |
| უდინეზე | - | პიაჩენცა |
| მილანი | - | ტორინო |
| კიევო | - | ვენეცია |
| იუვენტუსი | - | ვერონა |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რომა | 26 | 14 | 11 | 1 | 40:16 | 53 |
| ინტერი | 26 | 15 | 8 | 3 | 46:23 | 53 |
| იუვენტუსი | 26 | 14 | 10 | 2 | 49:21 | 52 |
| ბოლონია | 26 | 13 | 5 | 8 | 30:26 | 44 |
| კიევო | 26 | 11 | 8 | 7 | 44:37 | 41 |
| მილანი | 26 | 9 | 11 | 6 | 35:28 | 38 |
| ლაციო | 26 | 9 | 9 | 8 | 35:27 | 36 |
| ვერონა | 26 | 10 | 5 | 11 | 34:39 | 35 |
| ტორინო | 26 | 8 | 9 | 9 | 30:32 | 33 |
| პერუჯა | 26 | 9 | 6 | 11 | 28:34 | 33 |
| ატალანტა | 26 | 9 | 6 | 11 | 31:40 | 33 |
| პიაჩენცა | 26 | 8 | 7 | 11 | 38:35 | 31 |
| პარმა | 26 | 8 | 7 | 11 | 32:36 | 31 |
| უდინეზე | 26 | 8 | 6 | 12 | 34:41 | 30 |
| ბრეშა | 26 | 6 | 11 | 9 | 30:41 | 29 |
| ლეჩე | 26 | 5 | 9 | 12 | 26:39 | 24 |
| ფიორენტინა | 26 | 5 | 6 | 15 | 27:49 | 21 |
| ვენეცია | 26 | 3 | 6 | 17 | 24:49 | 15 |

**ერთი კვირის** წინანდელი დრამის თუ დრამათა შემდეგ, სკუდეტოს მაძიებლები შედარებით იოლ ამოცანას უნდა შეეჭიდონ. მაგალითად, „რომა" ცხრილის შუაწელის ბინადარს, „ატალანტას" მასპინძლობს და სამი ქულის მოპოვებას გეგმავს. მართალი გითხრათ, რომაელებს შუა კვირაში „გალათასარაისთან", ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე" 1:1 რომ არ ეთამაშათ და მატჩის ბოლოს დიდ და გახმაურებულ თავ-პირის ლეწვაში არ გარეულიყვნენ, ვიტყოდით, წინა ტურში, „ლაციოს" 5:1 განადგურების შემდეგ კარგ ხასიათზე არიანო, მაგრამ ახლა მათი გუნება-განწყობისა აბა, რა მოგახსენოთ. მერედა, „რომას", ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის მსურველს, ის ერთი ქულაც უეფამ სასჯელის სახით რომ ჩამოართვას? ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, რომ ფაბიო კაპელოს ბანაკში ცოტას მაინც ნერვიულობდნენ.

თუმცა, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად: ხსნა იქ არის, სადაც ვინჩენცო მონტელაა. ხომ გახსოვთ წინა ტურში, „ლაციოს" რა უქნა? ცხადია, „ლაციოს" მცველის, ცნობილი ალესანდრო ნესტას საძაგელი თამაშის დახმარებით, მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს — მან ანჯელო პერუცის კარში ოთხი გოლი შეაგდო. ასე და ამგვარად, ბერგამოელებს ამ ფეხბურთელისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა მოუწევს.

ახლა „ინტერის" ამბავი ვთქვათ. ერთი კვირის წინ „იუვენტუსთან" ნაომარს, ლეჩეში, ბუნებრივია, ლიდერობის დაბრუნება სწადია. ისე რა მოხდა ერთი კვირის წინ „სან სიროზე", „ინტერმა" დააბრკოლა „იუვე" თუ „იუვემ" „ინტერი"? ხომ გახსოვთ, ფრიად დრამატული შეხვედრა 2:2 დასრულდა — ტურინელები იგებდნენ და მხოლოდ და მხოლოდ მსაჯის წამატებულ წუთებში კლარენს ზეედორფის შორეულმა დარტყმამ დაატოვებინათ ორი ქულა.

თუმცა, ვინ იცის, „შავ-ლურჯების" თავკაცს, ეკტორ რაულ კუპერს ეს ბოლოწამს მიღწეული ფრე კი არ უხაროდეს, არამედ, გული წყდებოდეს, რომ მანამდე, როდესაც ანგარიში ჯერ კიდევ 1:1 იყო, ივან კორდობამ საუცხოო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

ახლა, რაც შეეხება „იუვენტუსს", წინა კვირა მისთვის საკმაოდ უსიამოვნო გამოდგა. არა, აქ „სან სიროზე" ნათამაშევ 2:2-ს არ გულისხმობთ (თუმცა კი, რატომაც არა, ბოლოწამს გოლის გაშვება და უშუალო კონკურენტისთვის სერიოზული დარტყმის ვერმიყენება როგორი საქმეა?), აქ ჩემპიონთა ლიგაში, ლევერკუზენში ნაწვნევ 1:3-ზე გვაქვს საუბარი. ამ მარცხმა ტურინელები ლიგიდან გამოთიშა და კიდევ ერთხელ დასტოვა პრესტიჟული ევროპული შეჯიბრების ბოლო საფეხურებს მიღმა. გახსოვთ, წინა სეზონში „ბებერმა ქალბატონმა" პირველივე ჯგუფური ეტაპიდან რომ ვერ გააღწია?

გარდა ამისა გაირკვა, რომ ლილიან ტურამის, ედგარ დავიდსისა და ალესანდრო დელ პიეროს გარეშე ძნელი ყოფილა თამაში, ფაქტობრივად, ამ სამ ფეხბურთელს შემცვლელი არ ჰყოლია.

ჰო... „იუვენტუსს" ცხადია, აქვს პრობლემები, მაგრამ აბა, ეს „მილანის" პრობლემებთან რა მოსატანია. წინა ტურში იყო და „ბოლონიასთან" 0:2 წააგო — სრულიად დამსახურებულად — რუი კოშტა საკუთარ თავს არ ჰგავდა, ხოსე მარი და მარკო სიმონე კი თავდასხმაში უფერულნი იყვნენ. ხოსე მარიზე, სხვათა შორის, ამბობენ, კარლო ანჩელოტი ამ ტურში არ ათამაშებსო. შემდეგ იყო და უეფას თასზე, თელ ავივის „ჰაპოელთან" დამარცხდა 0:1.

ამრიგად, „შავ-წითლები" ვალდებულნი არიან „ტორინო" დაამარცხონ. ეს თამაში „სან სიროზეა" და მოსაგებად ძალიან ძნელი გახლავთ. საქმე ის არის, რომ „ტორინომ", მართალია, სეზონი მძიმედ დაიწყო, მაგრამ შემდეგ ეშხში შევიდა და ისე ჩანს, რომ პირველობას სადღაც ცხრილის შუაში დაასრულებს.

შავ დღეშია „ლაციოც". ის სტუმრად თამაშობს, ბრეშაში მიდის „რიგამონტიზე" და იმედი აქვს, რომ ბოლო თხუთმეტ შეხვედრაში მოპოვებულ ოთხად ოთხ გამარჯვებას მეხუთესაც მიაყოლებს. არადა, საოცარია, „ლაციოში" ხომ ამდენი მაღალი კლასის მოთამაშეა და თან გუნდი ევროსარბიელს უკვე გამოეთიშა. ერთი სიტყვით, ალბერტო ძაკერონის და მის ამალას სერია A-ზედა აქვთ საზრუნავი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვერ ზრუნავენ. ბოლოხანს იმაზეც დაიწყეს ლაპარაკი, რომ ზაფხულიდან კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი ძაკერონისაც დაიფრენს და ზედ გაისკა მენდიეტასა და ალესანდრო ნესტასაც მიაყოლებსო.

## ინგლისი

დავით გილუა

# პრემიერლიგაში გამოცდები იწყება

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბოლტონი | - | დერბი |
| ჩელსი | - | სანდერლენდი |
| ევერტონი | - | ფულემი |
| მიდლსბრო | - | ლივერპული |
| ნიუკასლი | - | იფსვიჩი |
| საუთჰემპტონი | - | ლესტერი |
| ვესტ ჰემი | - | მანჩესტერი |
| ხვალ | | |
| ლიდსი | - | ბლეკბერნი |
| ასტონ ვილა | - | არსენალი |
| ზეგ | | |
| ტოტენჰემი | - | ჩარლტონი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 30 | 19 | 4 | 7 | 73:37 | 61 |
| არსენალი | 29 | 17 | 9 | 3 | 58:31 | 60 |
| ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 50:25 | 59 |
| ნიუკასლი | 29 | 17 | 4 | 8 | 52:38 | 55 |
| ჩელსი | 29 | 13 | 11 | 5 | 54:30 | 50 |
| ლიდსი | 29 | 12 | 12 | 5 | 39:29 | 48 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 11 | 8 | 34:34 | 41 |
| ჩარლტონი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:34 | 38 |
| ტოტენჰემი | 29 | 11 | 5 | 13 | 39:44 | 38 |
| ვესტ ჰემი | 29 | 10 | 7 | 12 | 32:44 | 37 |
| ფულემი | 29 | 8 | 11 | 10 | 29:34 | 35 |
| საუთჰემპტონი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:43 | 35 |
| მიდლსბრო | 29 | 9 | 8 | 12 | 28:36 | 35 |
| სანდერლენდი | 29 | 9 | 7 | 13 | 23:33 | 34 |
| ბლექბერნი | 29 | 8 | 8 | 13 | 38:38 | 32 |
| ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:35 | 30 |
| იფსვიჩი | 29 | 8 | 6 | 15 | 36:47 | 30 |
| ბოლტონი | 29 | 6 | 12 | 11 | 31:44 | 30 |
| დერბი | 29 | 7 | 5 | 17 | 23:46 | 26 |
| ლესტერი | 29 | 3 | 9 | 17 | 19:51 | 18 |

**პრემიერლიგაში** უმნიშვნელოვანესი თამაშები მოდის. „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი" და „ლივერპული" ოდნავ წინ გაიჭრნენ, მაგრამ „ნიუკასლი" იმათ კუდში მისდევს და „ჩელსიმაც" ბოლო დროს განსაკუთრებით აიწყვიტა. „სტემფორდ ბრიჯის" ბინადრები წინა ტურში „ტოტენჰემის" კარში 4 უპასუხო გოლის გატანას გაუმხეცებია და შაბათს „სანდერლენდსაც" იგივეს უპირებენ. თან ჩრდილოელებიც ვერ ეწვევიან დედაქალაქს მთლად საბრძოლო წყობით, რადგან ჯეისონ მაკატირი (ვინც. გასულ შაბათს „ბოლტონს" გაუტანა) დისკვალიფიცირებულია. თუმცა გევინ მაკკენი, პოლ ტირლველი და კლაუდიო რეინა ტრავმებისგან გამოკეთდნენ და „სანდერლენდის" ნახევარდაცვას დუღაბს შემატებენ.

ხოლო ნასირცხვილევ „ტოტენჰემს" ისეთი პრინციპული მატჩი ელის, მეტი არ შეიძლება. ის და „ჩარლტონი" 38 ქულით მე-8-9 ადგილებს იყოფენ და დამარცხებული უფრო დაზარალდება, ვიდრე გამარჯვებული იხეირებს, რადგან უფსკრული ამ გუნდსა და წინებს შორის ბევრად ფართოა, ვიდრე სხვაობა აუტსაიდერებთან, ამიტომ წაგება ორივესთვის გასავარდნი ზონისკენ მიდრეკას ნიშნავს.

მხნედ არიან „ლიდსის" და „ბლექბერნის" ფეხბურთელები, რადგან წინა ტურში ფსიქოლოგია განიმყარეს. „ბლექბერნმა" „ასტონ ვილას" შემდეგ „იფსვიჩსაც" მოუგო და თავი გავარდნის ზონიდან ცოტა მოშორებით დაიგულა, ხოლო „ლიდსს" 11 ტური არ მოეგო და ბოლო გამარჯვებამ ერთობ დაამუხრუჭა დევიდ ოლირის მწვრთნელობიდან მორყევის პროცესი.

ქვემორე რამდენიმე სტრიქონი ტოტალიზატორის ფანებმა გამოტოვონ, მერე არაფერი დაგვბრალდეს: ვვარაუდობთ, რომ „ფულემის" და „ევერტონის" თამაშში ორ გოლზე მეტი არ გავა, რადგან წლევანდელ პრემიერლიგაში ისინი მაინცდამაინც ბადეს არ ხევენ. პირველმა 29 თამაშში იმდენივე გოლი გაიტანა, მეორემ — სულაც ნაკლები. ესაა სტატისტიკა და მეკუშენო, ახლა გაზეთს თქვენც ჩახედეთ: თამაში ლივერპულშია, სადაც „ევერტონი" 12 იანვრიდან დაწყებული ნავსის გატეხვას, ანუ გამარჯვებას ეცდება. ახალი მწვრთნელის წინამძღოლობით, სხვათა შორის მას დევიდ მოიესი ჰქვია. „ფულემს" კი მეორე მატჩიც წინა აქვს, ასოციაციის თასის ნახევარფინალში სამულველ „ჩელსის" ეთამაშება.

„ასტონ ვილა" — „არსენალი". აქ საყურადღებოა, რომ დისკვალიფიკაციის მიზეზით „მეთოფეობას" ვერ შეძლებს ტიერი ანრი, რომელმაც დეკემბერში ბირმინგემელებს დიდი რისხვა დაატეხა. მაშინ, „ჰაიბერიზე" „ასტონ ვილა" 2:0-ს იგებდა, როცა ანრი გაგიჟდა და ორი ბურთი შეაგდო, საერთოდ კი „არსენალმა" 3:2 მოიგო. მაგრამ ვთქვით, რომ ანრი არ იქნება, ის მინდვრიდან 3 თამაშით გააძევეს და ეს მეორე გახლავთ.

რას ამბობს, თუ იცით, ჟერარ ულიეს გულის პრობლემათა გამო სახელგანთქმული ფილ ტომპსონი? რა და სეზონში დარჩენილი ყველა თამაშის მოგება შეგვიძლია და პრინციპში, ჩემპიონობა თუ გვინდა, დაახლოებით ასეც უნდა მოვიქცეთო. ტომპსონი სიტყვებს პირველ გამოცდას „მიდლსბრო" მოუწყობს, რომლის თამაშიც ბოლო ხანს მენეჯერ სტივ მაკლარენის მეცადინეობით აღორძინდა. „ბორო" გვარიანად ამოსცილდა გასავარდნთა ზონას და ასოციაციის თასის ნახევარფინალშიც გავიდა, ამიტომ „ლივერპულმა" გამარჯვებისთვის კბილებით უნდა იბრძოლოს. მერსისაიდელთათვის საამო ფაქტია, რომ ემილ ჰესკი ითამაშებს, რასაც საფუძვლიანად ეჭვობდნენ — „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის თამაშში მისი კოჭლობის შემხედვარე. შესაძლოა ითამაშოს მაიკლ ოუენმაც, „მიდლსბროს" საბურთაო წყობაში კი წესით, უგო ეჰიოგუ (2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა) და ბენიტო კარბონე უნდა შევნიშნოთ.

„ნიუკასლი" „იფსვიჩს" უმასპინძლებს და თუ განძრევაა, ახლა უნდა გაინძრეს, თორემ მისი ჩემპიონობა ერთი კაზური სოფლის წყალს დალევს და, ცხადია, სრულად დაიძაბება „მანჩესტერ იუნაიტედიც", რადგან ფინიშის სწორი გამოჩნდა. იტყობინებიან, რომ „ბაიერნთან" არნათამაშები პოლ სკოულზი ამჯერად ძირითადი შემადგენლობიდან ვინმეს ამოაგდებს: რაიან გიგზს ან ხუან სებასტიან ვერონს.

პრემიერლიგის წლევანდელი საცოდავი „ლესტერი" ინგლისის სამხრეთ ზღვისპირს ესტუმრება, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია დაკარგული.




„ევერტონი" სკოთმა დევიდ მოიესმა ჩაიბარა

## გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

# ტოპმიოლერის ტოპვარაუდი



კლაუს ტოპმიოლერი

**ბოლო** ოთხი მატჩის მომგები და მესამე ადგილზე დამდგარი „ბაიერნი“ დღეს „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ „კაიზერსლაუტერნს“ ეწვევა. ოთხშაბათს, ლიგის შეხვედრაში „მანჩესტერთან“ ნათამაშევი ფრის მერე მიუნხენელები მეოთხედფინალში გავიდნენ და მათივე თქმით, ახლა ბუნდესლიგის ამბებს გაორმაგებული ყურადღებით მიხედავენ.

„თუ კაიზერსლაუტერნში მოვიგეთ, ჩემპიონობისთვის საბრძოლველად კიდევ უფრო მოვიმართებით, თუ არა და, ძალიან გაგვიჭირდება“ — ამბობს „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

„დღეიდან ყველა მატჩი გადამწყვეტი იქნება. „ლაუტერნთან“ ოდნავი შეცდომის უფლებაც არ გვაქვს“ — დასძენს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე. ოლივერ კანი კი ამ მატჩს სულაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს: თუ გავიმარჯვეთ, ჩემპიონებიც გავხდებითო...

ბაიერნელებს დაშავებული მეჰმეთ შოლი და დისკვალიფიცირებული განელი სამუელ კუფური არ ეყოლებათ. კუფური გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ექვსი მატჩით დასაჯა, მას შემდეგ, რაც ქვეყნის თასის ნახევარფინალში ის შალკელ იორგ ბიომეს უღირსად მოექცა: „კუფურმა გუნდი დაალალატა და ამისთვის საკადრისს მიიღებს. დისკვალიფიკაციის გარდა ის სოლიდურ ჯარიმასაც გადაიხდის“ — აცხადებს ჩემპიონთა მენეჯერი ული ჰიონესი.

მცირედი პრობლემები აქვთ მასპინძლებსაც. ისინი ასევე დასჯილ ეგვიპტელ ჰანი რამზისა და თომას რიდლს ვერ ათამაშებენ. ლიდერი „ლევერკუზენი“ „შტუტგარტს“ ესტუმრება. შუა კვირაში „იუვენტუსთან“ ლიგაში მოგების მერე მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი და მისი ბიჭები ჩინებულ განწყობაზე არიან. ევროთასი ევროთასად, მაგრამ მათთვის პრიორიტეტი ბუნდესლიგაა. დარწმუნებული ვარ, წლეულს ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო, უთქვამს ამ ორიოდ დღის წინ ტოპმიოლერს. ერთობ საინტერესო განცხადებაა, ადრე ტოპმიოლერი ასეთ კატეგორიულობას ერიდებოდა, ზოგადად საუბრობდა ხოლმე და ყველაფერი სეზონის ბოლოს გამოჩნდებაო, დასძენდა, ახლა კი მადაზე მოსულა.

დღეს ლევერკუზენელებს გამთამაშებელი მიხაელ ბალაკიც დაუბრუნდებათ, ვინც გრიპის გამო „იუვენტუსთან“ ვერ ითამაშა. კარგ ფორმაშია ოლივერ ნოივილიც, ხოლო კაპიტანი იენს ნოვოტნი კოჭის მცირე ტრავმის მიუხედავად მაინც გავა მინდორზე.

ბერლინის „ჰერტა“ ბრემენში „ვერდერს“ ეწვევა და დაშავებულ მარკო რემერს ვერ დაიხმარს. ვერ ითამაშებს სებასტიან დაისლერიც, თუმცა გერმანული ფეხბურთის იმედის შესახებ ბოლო დროს სასიკეთო ცნობები მოდის. ხუთთვიანი მკურნალობის მერე დაისლერს ვარჯიში დაუწყია და მალე ალბათ მინდორზეც ვიხილავთ: „ძალიან მიხარია, რომ უკვე ვარჯიში შემიძლიან. მართალია, მთლად გამოჯანმრთელებული არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, მალე ჩვეულ ფორმაში ჩავდგები“ — ამბობს 22 წლის დაისლერი.

ხვალ ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ მეორეადგილოსან „დორტმუნდს“ დაუხვდება. ფოლკერ ფინკეს გუნდმა ბოლო დროს ბევრი ქულა დაკარგა და გასავარდნ ზონასაც დაუმეზობლდა. ეს დანაკარგები ერთის მხრივ გასაგებია, ფრაიბურგელებს ზედიზედ მოუწიათ ლიდერებთან შეჯიბრება, მაგრამ წინა შაბათს უშუალო კონკურენტ „ზანკტ პაულისთან“ წაგების მერე გულშემატკივრებს მოთმინების ფიალა აევსოთ, სტადიონთან მდგარ ფეხბურთელებით სავსე გუნდის ავტობუსს ალყა შემოარტყეს და კარგა ხანს არ გაუშვეს. ფინკემ ისინი გაამართლა, რას ვერჩით, გალიზიანდა ხალხიო, თუმცა ისიც დაამატა, ყველაფერს გავაკეთებთ და ამ ორმოდან ამოვძვრებითო. მოკლედ, დორტმუნდთან ფრაიბურგელები დიდ ომს აპირებენ და ეგებ პატარა სენსაციაც გამოაცხონ. ისიც გავიხსენოთ, რომ პირველ წრეში „ვესტფალენშტადიონზე“ ფინკეს ბიჭებმა „ბორუსიას“ 2:0 მოუგეს. „კიკერის“ ცნობით, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი მატჩს ძირითადში დაიწყებენ, ლევან ცქიტიშვილი კი თადარიგში იქნება.

„დორტმუნდი“ ხუთშაბათს უეფას თასზე ჩეხურ „ლიბერეცს“ უგოლოდ დაშორდა და დღეს „ფრაიბურგთან“ გამარჯვებას შეეცდება. მათიას ზამერის გუნდი ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ლევერკუზენს“, თუმცა თავადაც მხოლოდ ორით პუნქტით უსწრებს მესამე „ბაიერნს“, ამიტომ აუტსაიდერ „ფრაიბურგთან“ წაფორხილება მისთვის, შესაძლოა, საბედისწეროც გამოდგეს.

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლაუტერნი | - | ბაიერნი |
| ჰამბურგი | - | ვოლფსბურგი |
| ვერდერი | - | ჰერტა |
| გლადბახი | - | ნიურნბერგი |
| კოტბუსი | - | ზანქტ პაული |
| შტუტგარტი | - | ლევერკუზენი |
| კიოლნი | - | ჰანზა |
| **ხვალ** | | |
| ფრაიბურგი | - | დორტმუნდი |
| მიუნხენი | - | შალკე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 26 | 16 | 5 | 5 | 61:31 | 53 |
| დორტმუნდი | 26 | 15 | 7 | 4 | 42:22 | 52 |
| ბაიერნი | 26 | 15 | 5 | 6 | 51:20 | 50 |
| შალკე | 26 | 14 | 6 | 6 | 41:26 | 48 |
| ლაუტერნი | 26 | 15 | 3 | 8 | 50:38 | 48 |
| ჰერტა | 26 | 13 | 7 | 6 | 48:29 | 46 |
| ვერდერი | 26 | 13 | 4 | 9 | 39:28 | 43 |
| მიუნხენი | 26 | 12 | 3 | 11 | 40:41 | 39 |
| შტუტგარტი | 26 | 9 | 8 | 9 | 31:30 | 35 |
| ვოლფსბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 45:40 | 33 |
| ჰამბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 38:44 | 33 |
| ჰანზა | 26 | 8 | 5 | 13 | 25:36 | 29 |
| გლადბახი | 26 | 6 | 9 | 11 | 28:40 | 27 |
| კოტბუსი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:46 | 26 |
| ნიურნბერგი | 26 | 7 | 4 | 15 | 25:47 | 25 |
| ფრაიბურგი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:43 | 24 |
| ზტ. პაული | 26 | 4 | 9 | 13 | 28:47 | 21 |
| კიოლნი | 26 | 3 | 7 | 16 | 13:48 | 16 |

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ურეალო და უბარსელონო

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ოსასუნა | - | დეპორტივო |
| ბარსელონა | - | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ალავესი | - | ბილბაო |
| სელტა | - | ლას პალმასი |
| ვილიარეალი | - | ვალიადოლიდი |
| სარაგოსა | - | ბეტისი |
| სევილია | - | მალაგა |
| რაიო ვალეკანო | - | ვალენსია |
| ტენერიფე | - | მალიორკა |
| სოსიედადი | - | ესპანიოლი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 29 | 14 | 11 | 4 | 35:22 | 53 |
| რეალი | 29 | 15 | 7 | 7 | 56:31 | 52 |
| ბეტისი | 29 | 13 | 10 | 6 | 34:25 | 49 |
| დეპორტივო | 29 | 14 | 6 | 9 | 42:34 | 48 |
| ბარსელონა | 29 | 13 | 7 | 9 | 48:28 | 46 |
| სელტა | 29 | 11 | 12 | 6 | 47:34 | 45 |
| ბილბაო | 29 | 12 | 9 | 8 | 40:41 | 45 |
| ალავესი | 29 | 13 | 3 | 13 | 29:29 | 42 |
| ესპანიოლი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:41 | 41 |
| ვალიადოლიდი | 29 | 11 | 6 | 12 | 33:46 | 39 |
| სევილია | 29 | 10 | 8 | 11 | 43:34 | 38 |
| მალაგა | 29 | 9 | 11 | 9 | 33:37 | 38 |
| ოსასუნა | 29 | 8 | 10 | 11 | 27:36 | 34 |
| მალიორკა | 29 | 9 | 6 | 14 | 34:39 | 33 |
| ვილიარეალი | 29 | 8 | 9 | 12 | 30:36 | 33 |
| ლას პალმასი | 29 | 8 | 9 | 12 | 29:35 | 33 |
| სარაგოსა | 29 | 9 | 5 | 15 | 27:41 | 32 |
| ტენერიფე | 29 | 8 | 7 | 14 | 24:39 | 31 |
| სოსიედადი | 29 | 8 | 6 | 15 | 35:43 | 30 |
| რაიო | 29 | 7 | 8 | 14 | 34:46 | 29 |

**მართალია**, დღეს „ბარსელონა“ მასპინძლობს „რეალს“, მაგრამ ისეც არ არის, თითქოს პრიმერადივიზიონის სხვა მატჩებს მნიშვნელობა აღარ ჰქონდეთ. ბოლოს და ბოლოს, ვინ იქნება ლიდერი ამ ტურის მერე, უპირველესად „რაიო ვალეკანო“ — „ვალენსიას“ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული.

ის ფაქტი, რომ „ვალენსია“ ლიდერია, ხოლო „რაიო ვალეკანო“ ცხრილის ფსკერზე ბოგინობს,



ისმაელ ურსაისი

არაფერს წყვეტს. აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ერთი, რომ მადრიდელებს არცთუ ურიგო საშინაო შედეგები აქვთ და უძლიერესი შემადგენლობაც ეყოლებათ და მეორე — „ვალენსიას“, მოგეხსენებათ, ხუთშაბათს უმძიმესი მატჩი ჰქონდა მილანში „ინტერთან“, სადაც ბოლო 35 წუთი სულაც კაცნაკლულებმა ითამაშა.

ბოლო ორკვირეულის უდავო გმირმა, „დეპორტივომ“, რომელმაც სამეფო თასის ფინალში იუბილარი „რეალი“ დაამარცხა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში „ჰაიბერიზე“ შავი დღე აყარა „არსენალს“, ახლა პამპლონაში უნდა გამართოს ბრძოლა. „ოსასუნა“ კი საკმაოდ შეკრული გუნდია და შინაც ურიგოდ არ თამაშობს.

ბასკური დერბია ვიტორიაში და თან „ალავესი“ და „ბილბაო“ ცხრილში მეზობლები არიან, რაც მათ დაპირისპირებას სიმწვავეს მატებს. შეგახსენებთ, რომ „ალავესს“ წინა ექვსი შეხვედრიდან ხუთი წაგებული აქვს, აი, ბილბაოელებს კი დისკვალიფიცირებული ისმაელ ურსაისი დაუბრუნდებათ.

„სელტა“, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად იბრძვის, უფრო სწორად კი, ვიგოელ ქომაგებს სხვა შედეგის გაგონებაც არ სურთ. ვიქტორ ფერნანდესის გუნდს „ლას პალმასთან“ მოუწევთ შებმა და მეტოქის სისუსტის მიუხედავად იოლი გამარჯვება სულაც არ ელით — მცველი ფერნანდო კასერესი დისკვალიფიცირებულია, ხოლო სერხიო ფერნანდესს ტრავმა აქვს. თავის მხრივ კუნძულებებიც ორ ფეხბურთელს მოისაკლისებენ — ლუის ტივერიტი და ხორხე დაშავებულები არიან, სამაგიეროდ, წინა ტურში „ალავესზე“ გამარჯვებამ მათ ხასიათი რამდენადმე გამოუკეთა.

„რეალ სოსიედადი“ პირველ მატჩს გამართავს უელსელი ჯონ ტოშაკის გაშვების მერე. მისი შემცვლელი რობერტო ოლაბე, ცხადია, წარმატების მიღწევას ეცდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „ესპანიოლს“ თავისი ანგარიში აქვს და ოლაბეს სურვილი ჩირადაც არ უღირს.

„სარაგოსა“ ერთი საფეხურით არის აცდენილი გასავარდნთა ზონას, მაგრამ ისევ იქ რომ დაბრუნდეს, გასაკვირი არ იქნება. ამ ტურში სარაგოსელები დისკვალიფიცირებული პაკო ხემესის გარეშე დაუხვდებიან „რეალ ბეტისს“ — „ბარსელონას“ დამმარცხებელს და ჩემპიონობის მაძიებელს.

ანდალუზიურ დერბიში „სევილია“ მასპინძლობს „მალაგას“ და გამარჯვებას დისკვალიფიცირებულ ნახევარმცველის, ფრანსისკოს გარეშე შეეცდება. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა აქვს სტუმართა გუნდს, რომელსაც ტრავმამოშუშებული დარიო სილვა დაუბრუნდა.

„ტენერიფე“ ის გუნდია, რომელმაც ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო — მწვრთნელად ხავიერ კლემენტე მიიწვია და ბოლო სამ შეხვედრაშიც შვიდი ქულა მოიხვეჭა. სწორედ „ტენერიფესთან“ მარცხს შეეწირა „სოსიედადის“ თავკაცი ტოშაკი. ერთი გამარჯვებულა და კანარელები თავს დააღწევენ გასავარდნთა ზონას. ეს „პატივი“ ეგებ მათ მეტოქე „მალიორკას“ ერგოს, თუ რა თქმა უნდა, „სარაგოსა“ და „სოსიედადიც“ დამარცხდებიან.

წინა ტურში „რეალთან“ დამარცხებული „ვალიარეალი“ „ვალიადოლიდს“ მასპინძლობს, რომელსაც დისკვალიფიცირებული ხესუსი არ ეყოლება, მას ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა.

## ბარსელონა VS რეალი

# ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი სუპერკლასიკო

## ზინედინ ზიდანს გინება სიამოვნებს

**სატურნირო** თვალსაზრისით „ბარსელონა“ — „რეალის“ დაპირისპირებას მნიშვნელობა რომც არ ჰქონდეს, ის მაინც „სუპერკლასიკო“ იქნება და თუ ცხრილის ზედა ნაწილში საშინელი სიმჭიდროვეა, ხოლო სეზონი დასასრულს უახლოვდება, დაძაბულობაც ერთი-ორად მატულობს. „ბარსელონა“ — „რეალი“ ყოველთვის გამორჩეული რამაა, მაგრამ ნახსენები დაძაბულობა სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

როცა პრიმერადივიზიონის წლევანდელ ფავორიტებზე ჩამოვარდება სიტყვა, „ბარსას“ იშვიათად ახსენებენ, მეტი შანსი „ვალენსიასა“ და „რეალს“ აქვთ, მაგრამ ისიც ხომ მოგეხსენებათ, „ბარსელონა“ ის გუნდი არ არის, ასე იოლად ჩამოეწეროს. ახლა ამბობენ, სწორედ „რეალთან“ მატჩში გამოჩნდება, კატალონიელებს რისი უნარი შესწევთო და ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

დივიზიონში უკვე ცხრა თამაშის წაგები „ბარსელონა“ ცხრილში მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაშიც ვერაფერი დააკლო „ლივერპულს“. „რეალის“ საქმე კი ბევრად უკეთაა, ლიდერსაც ოდენ ერთი ქულით ჩამორჩება და ჩემპიონთა ლიგაშიც რა ხანია გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა.

და რას ნიშნავს ყოველივე ეს? ფაქტობრივად, არაფერს, რადგან ამათი მატჩის შედეგის გამოცნობა თითქმის უიმედო საქმეა — ორივე გუნდი ბევრს დათმობს, ერთმანეთს კი ჯიგრიანად შეებმება, აქვე გავიხსენოთ, რომ „რეალს“ „კამპ ნოუზე“ 1983 წლის მერე არ მოუგია და თვრამეტი წელი ცოტა სულაც არ არის.

კარლოს რექსაჩის თავისტკივილი რივალდოა. „ლივერპულთან“ გამოჩნდა, რომ ბრაზილიელი კარგ ფორმაში არაა, ხოლო რივალდოს ცუდად გარჯა „ბარსას“ კარგს რომ არაფერს უქადის, ესეც ცხადია. თუმც რივალდო სამატჩო განაცხადში არის და მისგან უკანასკნელი ძალის მოკრეფის მნახველები არაერთხელ ვყოფილვართ. აი, ხერარდს კი არაფერი ეშველება, ვარჯიშისას ისე დაშავდა, სეზონი ნაადრევად დაამთავრა. „ბარსას“ სათადარიგოთა სკამზე არც ბრაზილიელი ჯოვანი იქნება, თუმც კონკრეტული მიზეზი არ დასახელებულა.

ვინც „ბარსელონა“ — „რეალის“ ყურებას ოდენ იმისთვის აპირებდა, „კამპ ნოუზე“ ფიგუს ლანძღვა ენახა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მთელი კვირაა, პორტუგალიელი ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, მაგრამ მოედანზე დაბრუნება ვერა და ვერ მოახერხა. სანტიაგო სოლარი და სტივ მაკმანამანი მის შესაცვლელად მზად არიან.

ზინედინ ზიდანი პირველად გამოცდის საკუთარ თავზე თუ რას ნიშნავს, გადაჭედილი „კამპ ნოუს“ წინაშე თამაში, მაგრამ ზიდანი იმიტომაც არის დიდი ფეხბურთელი, რომ ამის, არ შეეშინდეს: „წარმომიდგენია, რაც იქნება, მაგრამ მეტოქე გუნდის ქომაგთაგან ზეწოლას მიჩვეული ვარ — თქვა ფრანგმა — ისე კი, გულახდილად რომ გითხრათ, ამგვარი თამაშები დიდ სიამოვნებას მანიჭებს“.

სიამოვნება ამ მატჩის მომგებისა ნახეთ...

**გიორგი დარჯანია**



პლასიდო დომინგო (მარცხნივ) „რეალის“ და სანტიაგო ბერნაბეუს თაყვანისმცემელია, ხოსე კარერასი კი „ბარსელონასა“ და დიეგო მარადონასი




ლუიშ ფიგუს დღეს „კამპ ნოუს“ გუგუნის მოსმენა არ მოუხდება

*„ერთ დღეს მივხვდი, რომ ფეხბურთში სერიოზული წარმატების მიღწევა შემეძლო. თერთმეტი წლისა ფეხბურთის გარდა ალარაფერზე ვფიქრობდი. კარგ საფეხბურთო სკოლაში შევედი, სადაც ძლიერი მწვრთნელები ასწავლიდნენ და საუკეთესო პირობებიც იყო. თუმცა ამისთვის დღეში 20 კილომეტრის გავლა მიწევდა. ღმერთმა დამიფასა ის მონდომება, რომლის ნაყოფსაც ახლა ვიმკი“ — ასე დაიწყო რივალდოს კარიერა, ხოლო რამდენად წარმატებულია იგი, იმან შეაფასოს, ვინც თითქმის ყოველ კვირას ბრაზილიელის ჩადენილ მცირე თუ დიდი საოცრებების შემყურე ხდება ...*



ვარსკვლავთა ბედი ასეა: რივალდოს თავგადაკლულ ქომაგებს რა მოაკლებს

# ბარსელონა რივალდოს სახლია

## ჩემი ბიზნესი ფეხბურთია, ღმერთი და ოჯახი კი ჩემი სული

**— პირველი კონტრაქტი როდის გააფორმეთ?**

— 1992 წელს „მოჟი მირიამთან“ გავაფორმე კონტრაქტი, თუმცა არცთუ სახარბიელო პირობებით. მაგრამ მაშინ თითქოს შეიცვალა ჩემი ცხოვრება. თავისუფლება ვიგრძენი და იმასაც მივხვდი, რომ რაღაც დასაყრდენი მქონდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, პროფესიონალი ფეხბურთელი, გავხდი. იქამდე სამოყვარულო „სანტა კრუზში“ ვირიცხებოდი, სადაც თითქმის არ მათამაშებდნენ.

**— „მოჟი მირიამშიც“ ისეთივე ბედნიერი იყავით, როგორც დღეს, როცა ბარსელონელი ხართ?**

— სულ სხვადასხვა გრძნობებია. იმ წლებში უსახელო კლუბში ვთამაშობდი, მაგრამ თავადაც რას წარმოვადგენდი? ახლა კი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდის წევრი ვარ და ბევრს არა აქვს ისეთი კონტრაქტი, როგორიც მე.

**— არსებობს ისეთი კლუბი, რომელშიც უფრო ბედნიერად იგრძნობ თავს? ანდა გუნდი, რომელიც უფრო გზიდლავთ თამაშის სტილითაც და ატმოსფეროთიც?**

— ამის თქმის საბაბიც არ მაქვს. „ბარსელონა“ ჩემი სახლია. დღეს ვიცი, რომ ამაზე უკეთ ვერსად ვიქნები. თუმცა ხვალ რა იქნება, ღმერთმა იცის. თუ კლუბი ისურვებს, რომ წავიდე — წავალ, თუმცა საამისოდ მიზეზს ვერ ვხედავ. არა მარტო კლუბი მიყვარს, არამედ ქალაქიც და მისი მცხოვრებნიც, საერთოდ ბრაზილიელები ასეთები ვართ — თუ სიყვარულს გრძნობ, თავის გაწირვაც შეგიძლია.

**— ხალხის სიყვარული კონკრეტულად რაში გამოიხატება?**

— საკმარისია ბარსელონას ქუჩებში გავიდე და მოძრაობა ჩერდება.

**— ფეხით გიწევთ ქუჩაში სიარული?**

— თითქმის სულ მანქანით დავდივარ, მაგრამ შუქნიშანთან შევაჩერებ თუ არა აუცილებლად ვიღაც მომესალმება და გამიღიმებს. არაერთხელ მომიხდა მანქანიდან გადმოსვლა და ავტოგრაფების ჩამორიგება. სხვანაირად უზრდელობა გამოდიოდა.

**— თვლით, რომ ესპანური ფეხბურთი ყველაზე მეტად ესადაგება თქვენი თამაშის სტილს?**

— დიახ, ზუსტად. არც ის მგონია, რომ ესპანეთში უფრო უხეშად თამაშობდნენ, ვიდრე ვთქვათ, ინგლისში ან გერმანიაში. ძალიან მომწონს პრიმერადივიზიონი.

**— არსებობს თუ არა რაიმე მოტივი, რის გამოც ესპანეთს დატოვებდით?**

— ასეთს ჯერ ვერ ვხედავ.

**— მსოფლიოს სხვა საფეხბურთო მოვლენებს თუ ადევნებთ თვალს?**

— ვცდილობ არ ჩამოვრჩე. ისე დრო თითქმის არც მრჩება, რომ სხვა მატჩებს თავიდან ბოლომდე ვუყურო. მიმოხილვებს კი თითქმის არ ვტოვებ.

**— 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ხშირად გახსენდებათ?**

— ეს ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო ჩემს ცხოვრებაში.

**— მართალა იყო საფრანგეთი ბრაზილიაზე ძლიერი?**

— იმ დღეს კი. თუმცა მგონია, რომ ამის შემდეგ ფრანგებთან ათი თამაში რომ გვეთამაშა ყველას მოვუგებდით. იმ დღეს ღმერთს გადავავიწყდით და ჩვენც მარტონი დავრჩით ობლებივით.

**— მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს რა განწყობით ეგებებით?**

— მშვიდად ვარ და მიმაჩნია, რომ საუკეთესოები გავხდებით. სხვანაირად არც იქნება. ეს წელიწადი ბრაზილიელთა მსოფლიოს ჩემპიონობისაა.

**— არის რომელიმე ფეხბურთელი, რომელიც პელეს შეედრება?**

— მე რომ გავიგო, რომ ვინმემ პელეს შემადარა, ვთქვათ, რომელიმე ჟურნალისტმა, ჩავთვლი, რომ ის ფეხბურთში ვერ ერკვევა. პელე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. ის მიუღწეველია. ფეხბურთისთვის ვერავინ გააკეთებს იმდენს, რაც მან შესძლო. ჩვენ ყველა დანარჩენი ბავშვებივით ვართ, რომლებიც ვცდილობთ, გავიგოთ და ვისწავლოთ ის, რაც პელეს შეეძლო გაეკეთებინა.

**— თამაშის სტილით თითქოს ჟაირზინიოს წააგავხართ...**

— ის უდიდესი ოსტატი იყო. 1970 წლის ჩემპიონატზე მისი თამაშის ჩანაწერები არაერთხელ მინახავს. ისე თუ მკითხავთ, კიდევ ვინ არიან მსოფლიოს უდიდესი ფეხბურთელები, ზიკოს და მარადონას დაგისახელებთ.

**— და პელე...**

— პელე ფეხბურთელი არაა, პელე ღმერთია. ღმერთს კი მიწიერთან არ ადარებენ.

**— ამბობენ, არ მოგწონთ, როცა თქვენ და რონალდოს გადარებენ...**

— ის ვინც ამაზე ლაპარაკობს ფეხბურთი არ გაეგება. საერთოდ სხვადასხვა ხასიათის და ხელწერის მოთამაშეები ვართ. საერთო ის გვაქვს, რომ ერთ ქვეყანაში დავიბადეთ. მეტი არაფერი.

**— კარიერის მანძილზე მძიმე ტრავმა თუ გქონიათ?**

— მძიმე არც ერთხელ. თითქოს ბედი მაქვს.

**— ბედისწერა და ღმერთი არაერთხელ ახსენეთ. ხშირად ფიქრობთ, ღმერთზე?**

— ხშირად. მისი ნების გარეშე არაფერი ხდება.

**— თქვენ ვაჟზე გკითხავთ, ისიც ფეხბურთელობას აპირებს?**

— შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს. ისე, სახელი ისეთი აქვს უმალ ფეხბურთი მოგაგონდება — რივალდინიო ჰქვია.

**— ოჯახში სხვებიც თამაშობდნენ ფეხბურთს? მაგალითად თქვენი ძმები.**

— დიახ. თოთხმეტ წლამდე მე ჩემს ორ ძმასთან ერთად დავდიოდი ფეხბურთზე. თუმცა შემდეგ მე უფრო გამიმართლა. ისინი, პროფესიონალები აღარ გახდნენ. ისე, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი საფეხბურთო ნიჭი ჩემს ქალიშვილს არ გაჰყვება გენში. ეს უკვე მეტისმეტი იქნება.

**— ბრაზილიაში დარჩენილ ნათესავებს თუ ეხმარებით?**

— ისინი ფაქტობრივად ჩემი ფეხბურთელობის ხარჯზე ცხოვრობენ. მე ძალიან ბედნიერი ვარ, ახლობლების დახმარების საშუალება რომ მაქვს. საერთოდ, ბრაზილია ღარიბი ქვეყანაა და მეც ღარიბ ოჯახში გავიზარდე.

**— გაქვთ თუ არა რაიმე არასაფეხბურთო ბიზნესი ბრაზილიაში, ესპანეთში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში?**

— ჩემი ბიზნესი ფეხბურთია. ღმერთი და ოჯახი კი — ჩემი სული. ეს მე სავსებით მაკმაყოფილებს.

### რივალდო და ანაკონდა

*...როცა მოედანზე გავდივარ თვალწინ გულშემატკივართა თვალები მიდგას. მყისიერად თითქოს გულცივი ვხდები, ანაკონდას ვემსგავსები, რომელიც მსხვერპლზე სასიკვდილო ნახტომისთვის ემზადება. ეს უფრო ხშირად მაშინ მემართება, როცა ჯარიმას ვასრულებ. მერე ვურტყამ და თუ ბურთმა მეკარეს გადაუფრინა და კარის ბადეში გაეხვა, ვგრძნობ, რომ გავიმარჯვე და მსხვერპლი დავიჭირე...*

საქართველოს ჩემპიონატი

# ქორწილი ორ განყოფილებად
## ზანგი თამადა ქართულ სუფრაზე



გურამ [illegible] ფოტო

დინამო — მაკაბი. დინამოელმა აჰმედ მუპემ ლადო სუხიშვილს შემოურბინა

**გუშინწინ** სპორტის სასახლეში მილეთის ხალხმა მოიყარა თავი. ათასობით ადამიანი რუს მომღერალთა, ვარუმ-აგუტინის „ჰანგებს“ მიაწყდა. ამ ზედახორიდან თვრამეტიოდ საათში იმავე დარბაზში კალათბურთი გახურდა. მისი მაყურებელი კი პატარა ქორწილის სუფრას ძლივს გაავსებდა. პირველი მატჩის ბოლოსკენ ხალხმა ოდნავ იმატა. იმედია, ეს პროცესი ჩემპიონატის ბოლომდე გასტანს.

ექვსეულის პირველი თბილისური მატჩები ვერ გამოდგა მთლად კარგი საცქერი, თუმცა „აზოტი“ — სტუ-ს შეხვედრაში გაიელვა გულმოსაფხანმა ეპიზოდებმა. მანამდე კი „დინამო“ „მაკაბის“ ეთამაშა და უშანსოდ დატოვა.

ამ შეხვედრის უთუმცაო ფავორიტი ლევან მოსეშვილის გუნდი იყო, მით უფრო, რომ „მაკაბიმ“ წელმტკივანი დავით ბერიშვილი მოისაკლისა.

„მაკაბიმ“ დებიუტში გაიბრძოლა და მე-5 წუთამდე გაუძალიანდა მეტოქეს, მერე კი დინამოელმა არმენ ოგანიესიანმა აიშვა და პირველი ათწუთეულის შემდეგ თითქმის ყველაფერი გაირკვა — 30:16. მცირერიცხოვან ქომაგებს შორის ხმა დაირხა, „დინამო“ მეტოქეს დაინდობს, ძალებს დაზოგავსო, მაგრამ რა დანდობა, რევაზ ჩხეიძე გამოვიდა და მიჯრით 3 სამქულიანი ჩააგდო, არც დინამოელთა ზანგი შენაძენი აჰმედ მუპე იყო „მაკაბის“ ფარქვეშ უქმად და ანგარიში მსწრაფლ იზრდებოდა. მესამე მეოთხედში სხვაობამ 40 ქულას გადააბიჯა და ბევრს თამაშის ცქერის სურვილი დაეკარგა. პრესლოჟის წინ მსხდარმა ვეტერანმა დინამოელებმა წარსული დრო გაიხსენეს. ვალერი ალთაბაევი, ვლადიმერ უგრეხელიძე და პაატა გურასპაული ძველ „დინამოს“ მატჩების პერიპეტიებს იხსენებდნენ. მოედანზე კი დღევანდელი დინამოელები — ნინიაშვილი და მუპე ერთურთს ჩატენვებში ეჯიბრებოდნენ და მალე სხვაობამ 50 ქულას უწია. საბოლოოდ ლევან მოსეშვილის გუნდმა 125:78 დაამარცხა „მაკაბი“ და ერთი ოთხეულსმიღმა დამრჩენის ვინაობას ბეჭედი დაასვა.

„დინამო“ — „აზოტის“ წინ ტრიბუნები ტრიბუნებს დაემსგავსა. რუსთაველიც ბლომად მოვიდა და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტიც. მატჩის დაწყებამდე ფირმა „ჯეოსელის“ სარეკლამო ალმებით შელამაზდა მოედნის მიდამო, რომლებსაც სტუდენტები საბრძოლოდ უნდა შეემართა. პირველ ეტაპზე რუსთაველებმა ორჯერვე მოუგეს სტუ-ს და კამერუნელი ტიბუ იამჩუთი გაძლიერებულნი ახლაც იგივეს უპირებდნენ. სწორედ „აზოტის“ შავკანიანმა გახსნა საჯარიმოებით ანგარიში, მან ათწუთეულის ბოლომდეც არ დააკლო ხელი მეტოქეებს და 9 ქულით გუნდელთაგან საუკეთესო იყო. იამჩუს ვიქტორ კურილჩუკიც შეეხიდა და ამ ორის წყალობით თამაში ქულაქულაში გაჩაღდა.

მეორე მეოთხედის წინ სტუ 2 ქულას იგებდა და ყველაფერი დაძაბულ ბრძოლას მოასწავებდა, მაგრამ მერე ყველაფერი აირია. „აზოტმა“ მცირე შესვენების შემდეგ 7 წუთში მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო და ჩამორჩა. წინ გაჭრილ სტუდენტებს რუსთაველებმა უთავბოლო ჯარიმებით უპასუხეს და მატჩის შუაწელში კოკოლიშვილსა და ზემოთ ნახსენებ ლეგიონერებს ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდათ. „აზოტი“ ბევრს ეცადა, თამაშის ჩარხი თავისკენ შეებრუნებინა, მაგრამ... კოკოლიშვილი, კურილჩუკი და იამჩუ მიყოლებით გავარდნენ და ზურაბ ტომარაძემ, ალბათ, თამაშის დამთავრებამდე იწყო მომავალ მატჩებზე ფიქრი.

**ირაკლი ბერტაია**

15 მარტი. სპორტის სასახლე

**დინამო 125:78 მაკაბი**

30:16, 31:13, 31:27, 33:22

**დინამო:** მაისურაძე (20), ჟლენტი, ჩუბინიძე (3), მუპე (22), ოგანესიანი (7); წოწელია (11), ტურაშვილი (8), ნაცვლიშვილი (13), ნინიაშვილი (14), ბერიშვილი (3), კორძაძე (2), ჩხეიძე (22)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (23), ანდღულაძე, კვიდია (21), სარიშვილი (6), სუხიშვილი (19); მჭედლიშვილი, ფიცხელაური (6), კრიხელი (3)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

15 მარტი. სპორტის სასახლე

**აზოტი 71:82 სტუ**

22:24, 8:15, 19:17, 22:26

**აზოტი:** იამჩუ (17), კურილჩუკი (16), კოკოლიშვილი (3), შუნდი (9), მაჭარაძე (2); გაბისონია (7), ბერუაშვილი (3), ბოისა (6), არწივიძე (3), ჯიმშელეიშვილი (6)

**სტუ:** ხოშტარია (22), აბრამიძე (15), დავითულიანი (10), ბაბიაშვილი (20), შენგელია (8); მარხვაშვილი, ოთიურიძე, ლოსაბერიძე (7)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გაკვეთილი ძველ სკოლაში
## პიპენმა უცხოელები ჩაჭრა

14 მარტი

**პორტლენდი 132:106 დალასი**

პორტლენდი: უოლესი (37), პიპენი (14 ქულა, 12 პასი)

დალასი: ნოვიცკი (19), ფინლი (18)

**ნიუ იორკი 113:96 საკრამენტო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (43), ტომასი (25)

საკრამენტო: ბიბი (21)

**შარლოტი 100:82 იუტა**

შარლოტი: მეშბურნი (26), დევისი (18)

იუტა: მარშალი (15)

**გოლდენ სტეიტი 102:110 ლეიკერსი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (23)

ლეიკერსი: ონილი (40), ბრაიანტი (21)

**სან ანტონიო 91:86 ჩიკაგო**

სან ანტონიო: დანკანი (24)

ჩიკაგო: ფიზერი (22), ბესტი (21), როუზი (20)

შორეული წარსულის გზაზე გადასულ „პორტლენდს“ ნაღდად არ სურს ახლო წარსულის გახსენება, სეზონის დასაწყისში დასავლეთში მეათე რომ იყო. არც სადღეისო მეექვსეობა უფუჭებთ გუნებას მორის ჩიკსიანთ. ასეთი თამაშით, ასე რომ ჩამოჰგავს კლაიდ დრექსლერისგან დატოქილ „ბლეიზერსისას“, დასავლეთში პირველ ადგილს თუ არა, მის სამეზობლოში ტრიალს მაინც იმსახურებს.

„დალასის“ ძლევა ადვილი საქმე არაა. მრავლისშემცველ კარიერაში სამგზის სეზონის საუკეთესო მწვრთნელმა დონ ნელსონმა, როგორც იქნა, საწადელი აისრულა, ტეხასის გულში ლაღი შეტევის მოყვარული ბიჭები შეყარა, მათგან სხარტი გუნდი შეკრა და სხვებზე მიუშვა. ძნელია ნოვიცკისთან, ნეშთან და ფინლისთან ჯაჯგური, მით უმეტეს, მათზე 26 ქულით მეტის მოხვეჭა. ეს სამივე და კიდევ სხვებიც სამქულიანებს ლამის საჯარიმოებივით ისვრიან, ჩააგდებენ ათ-თორმეტს და სდიე მერე.

და უცებ „დალასს“ აქეთ შემოუტიეს, თან ისე ფიცხლივ, რომ ამ გუნდში მოთამაშე უცხოტომელთ (ნოვიცკი გერმანელია, ნეში — კანადელი, ვანგი — ჩინელი და ნახევრა პირწავარდნილი მექსიკელი) და ერთ მუჭა ცუდად ცნობილ ამერიკელთ· ელეთმელეთი დაემართათ, ჩვენს ზურგსუკან ოთხი საფეხურით ქვემოთ მოჩაჩაქ „პორტლენდს“ ვებურთავებით, თუ აშშ-ის ნაკრებსო.

უწინ მართლა მონაკრებე, მერე კი ცოტა დაჩრდილულმა პორტლენდელმა სკოტი პიპენმა ის დრო გაიხსენა, ოლიმპიურ გუნდში ჯორდანის, მეჯიქ ჯონსონის და ლარი ბერდის გვერდიგვერდ თამაშს რომ სთხოვდნენ და ამერიკის ნაკრების ორ და კიდევ არაერთი სხვა ქვეყნის უჩაუქეს კალათბურთელებს მინი-გაკვეთილი ჩაუტარა. თავად ბევრი არ ჩაუყრია, სამაგიეროდ, ამხელა კაცმა ბურთის გათამაშების პროზაული საქმე პოეტური ეშხით შეასრულა და მალულ-ხილული პასები უხვად არიგა.

36 წლის სკოტის ხელ-ფეხცქვიტობით ალტკინებულმა მისიანებმა მოედანზე გადარბენობა გააჩაღეს და სწრაფი თამაშით აჯობეს სწორედ ამით ნაქებ დალასელებს. პირველი თორმეტი წუთის შემდეგ „დალასი“ რვა ქულით აგებდა, კიდევ ერთი ამდენის შემდეგ სხვაობა 19 ქულით გაიზარდა. „პორტლენდმა“ განსაკუთრებით პირველი ტაიმის მიწურულისკენ დააბეჩავა სტუმრები, როდესაც ზედიზედ ოთხჯერ ჩაუჭრა ბურთი და ეპიზოდი ცამეტით ნოლი მოუგო. აქედან ორჯერ პიპენმა ჩაჭრა ახალგაზრდა დალასელები, ჯერ ნოვიცკის აცილებული მოხსნა და პატერსონი გარღვევაზე გააქცუნა, შემდეგ ვოლესს ორი ხელით ჩაატენინა, ბოლოს კი ბონზი ველსს ზედ „დალასის“ კალათთან ისეთი ბურთი დაუკიდა, ამას ხელშემართულად შეხტომაღა დასჭირდა. ძველი გვარდიელის მხარდამხარ აღვნიშნოთ მისი ანჩხლი თანამსროლელი, მარტო პირველ ტაიმში „დალასისთვის“ 28 ქულის დამტეხი რაშიდ ვოლესი.

„ჩვენ ყველანი ნბა-ს ყოველდღიურობაში ვიხარშებით, მაგრამ ასეთ რამეს ხშირად ვერ ნახავ. ბიჭებმა პირველ ტაიმში ჩემი სამუშაო დამავიწყეს და უბრალო ქომაგად მაქციეს“. თქვა „პორტლენდის“ ახალბედა მწვრთნელმა მორის ჩიკსმა.

სტუმართა დატერორება არც მეორე ნახევარში შეწყდა. „დალასმა“ ისედაც აზრდაკარგული მატჩის მესამე თორმეტწუთეული 14 ქულით წააგო და მეტოქს 26 კი არა, 46 ქულით ემსხვერპლებოდა, მის დამამცირებელ მასპინძლებს წაქცეულისთვის წიხლი რომ მიეყოლებინათ.

ბევრი ქულის არჩამგდებ, თუმც მაინც მატჩის გმირ პიპენს ნამატჩევს ოფლშემშრალ სახეზე ნაკვთი არ შეტოკებია. „ხვალ ეს თამაში აღარც გაგვახსენდება“ — ეს და ორიც სხვა სიტყვა დააგდო და დერეფანში შეყო თავი. ექვსგზის ნბა-ს და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს განა სტივ ნეშის და აყლაყუდა შონ ბრედლის ძლევით გააკვირვებ? ბევრი არაფერი, სკოტიმ ხელ-ფეხი გაშალა და ცოტა წაივარჯიშა.

14 მარტმა თანამედროვე ბობოლათაგან განა მხოლოდ „დალასი“ დააფიქრა საკუთარ არაუძლეველობაზე. საცხრილო განზომილებით სუსტ მეტოქეს „დალასზე“ ერთადერთი წინმყოფი გუნდი — „საკრამენტო კინგზიც“ გაელახვინა. მერე რა, რომ „ნიუ იორკს“ შერკინებულ „მეფეებს“ ლიდერი კრის ვებერი აკლდათ, მათ 43 ქულის დაგროვების საშუალება მისცეს ვეტერანობაშეპარულ ლატრელ სპრიუელს, რომელიც ვებერის ამპლუის მოთამაშე არაა, ასე რომ ამ ორის გზები თამაშში ხუთ-ექვსჯერ თუ გადაკვეთს ერთმანეთს.

თავი იმიტომ გამოვიდე, რომ მატჩამდე მაგათი ხახებიდან ამოსული სიტყვები არ მეპრიანა. ახლა წავიდნენ და სხვაგან ეძებონ გასაბაზი მეტოქეებიო, გაბრაზებული, თან კმაყოფილი სახით უთქვამს ბობოქარ ლატრელს.

თუმცა კი ამ სახელოვანმა გამარჯვებამაც ვერ ააგლიჯა „ნიუ იორკი“ ატლანტიკის ფსკერს.

**ირაკლი ფირაშვილი**



AP ფოტოქრონიკიდან

„პორტლენდისგან“ შეჭირვებულ დალასელებს სახეებზე ეტყობათ, როგორ მიუდით საქმე

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 40 | 24 | 62,5 |
| ბოსტონი | 37 | 27 | 57,8 |
| ფილადელფია | 34 | 30 | 53,1 |
| ორლანდო | 34 | 30 | 53,1 |
| მაიამი | 29 | 33 | 46,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 35 | 45,3 |
| ნიუ იორკი | 24 | 39 | 38,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 36 | 26 | 58,1 |
| მილუოკი | 36 | 27 | 57,1 |
| ინდიანა | 32 | 32 | 50,0 |
| შარლოტი | 31 | 33 | 48,4 |
| ტორონტო | 30 | 36 | 45,5 |
| ატლანტა | 24 | 39 | 38,1 |
| კლივლენდი | 23 | 41 | 35,9 |
| ჩიკაგო | 16 | 50 | 24,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 45 | 19 | 70,3 |
| სან ანტონიო | 44 | 21 | 67,6 |
| მინესოტა | 40 | 24 | 62,5 |
| იუტა | 34 | 30 | 53,1 |
| ჰიუსტონი | 25 | 39 | 39,1 |
| დენვერი | 19 | 42 | 31,1 |
| მემფისი | 17 | 47 | 26,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 46 | 18 | 71,9 |
| ლეიკერსი | 45 | 18 | 71,4 |
| პორტლენდი | 39 | 25 | 60,9 |
| სიეტლი | 36 | 29 | 55,4 |
| კლიპერსი | 34 | 31 | 52,3 |
| ფინიქსი | 30 | 35 | 46,2 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 46 | 27,0 |

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს ზურაბ საკანდელიძეს გარდაცვალების გამო ზურაბ (ზუკა) საკანდელიძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ თანაუგრძნობს გამოჩენილ კალათბურთელს ზურაბ საკანდელიძეს შვილის ზურაბ (ზუკა) საკანდელიძის გარდაცვალების გამო

საკალათბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტი ზურაბ (ზუკა) საკანდელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 002 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.8 | 3,1 | 4.0 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-ჰერტა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 004 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 005 | კოტბუსი-სტ. პაული | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 18.30 | 007 | კიოლნი-ჰანზა | 2,3 | 3,2 | 2.7 |

17 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.30 | 009 | მიუნხენი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVII ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | კარლსრუე-ალენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 016 | უნტერჰახინგი-საარბრიუკენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

17 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ბაბელსბერგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 018 | ფიურტი-დუისბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 019 | უნიონი-არმინია | 2,1 | 3,1 | 3,2 |

18 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | მაინცი-ვალდჰოფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXV ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 022 | ბრაუნშვაიგი-ქემნიცი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.00 | 023 | ესენი-მაგდებურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | ესენი-მაგდებურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.00 | 025 | დიუსელდორფი-ფერლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-ფორტუნა | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 17.00 | 028 | აუე-ურდინგენი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 17.00 | 029 | კილი-დრეზდენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

17 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 030 | ვატენშაიდი-ლიუბეკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.00 | 026 | ვერდერი (მ)-პადერბორნი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXV ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 035 | ბურგჰაუზენი-ვეჰენი | 1.8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 036 | ანსბახი-დარმშტადტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.30 | 037 | ფულდა-კოკერსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.00 | 038 | ელვერსბერგი-ერფურტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 039 | აალენი-კაიზერსლაუტერნი (მ) | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 042 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-დერბი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 045 | ევერტონი-ფულემი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 046 | ნიუკასლი-იფსვიჩი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 047 | ნიუკასლი-იფსვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 048 | საუთჰემპტონი-ლესტერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 049 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 4,4 | 3,2 | 1,7 |

17 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 050 | ლიდსი-ბლექბერნი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 051 | ასტონ ვილა-არსენალი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

18 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 052 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 057 | ქრიუ-პორტსმუთი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 058 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 059 | სიტი-კრისტალ პალასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 060 | მილუოლი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 061 | როტერჰემი-ბრედფორდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 062 | შეფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 063 | უოლსოლი-ბარნსლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 064 | უოტფორდი-ქოვენტრი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 065 | უიმბლდონი-სტოკპორტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 066 | ვულვერჰემპტონი-გრიმსბი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 067 | ვულვერჰემპტონი-გრიმსბი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

17 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 068 | ბარნლი-პრესტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXXX ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 075 | ბლეკპული-პორტ ვეილი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 076 | ბრენტფორდი-უიკომბი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 077 | ბრაიტონი-ბერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 078 | ბრაიტონი-ბერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 079 | კემბრიჯი-ჰადერსფილდი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 080 | ჩესტერფილდი-რედინგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 19.00 | 081 | კოლჩესტერი-ქუინზ პარკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 082 | ნორთჰემპტონი-რექსემი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 083 | ნოტსი-ბრისტოლი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 084 | ოლდემი-კარდიფი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 085 | სტოკი-პიტერბრო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 086 | სუინდონი-უიგანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 087 | ტრანმერი-ბორნმუთი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXXX ტური**

16 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 094 | როჩერსი-რაშდენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 095 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 096 | ჰალიფაქსი-ჩელტენემი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 19.00 | 097 | ლინკოლნი-საუთენდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 098 | ლუტონი-კიდერმინსტერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 099 | მაკლსფილდი-ტორკი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 100 | ოქსფორდი-ჰალი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 101 | პლიმუთი-ლეიტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 102 | პლიმუთი-ლეიტონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 103 | როჩდეილი-ჰარტლპული | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 104 | სკანთორპი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 105 | სუონსი-მენსფილდი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 106 | იორკი-დარლინგტონი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

